პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

სამშაბათი, 11 ოქტომბერი, 1949 წ. № 202 (8505). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მომზადებული შევხვდეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება-გადამუშავების სეზონს — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმებანი ტუვის ავტონომიური ოლქის მშრომელებისადმი (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

„კომუნისტის“ გამსვლელი რედაქცია თელავის „გუროულიანის და ყვარლის რაიონებში (მე-2 გვერდი).

სოციალისტური შეჯიბრება საძალაძო საბჭოებს შორის (მე-2 გვერდი).

ალიო ადამია — ვაზისეული (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მომზადებული შევხვდეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება-გადამუშავების სეზონს

ახლოვდება ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-დამზადებისა და გადამუშავების სეზონი. ჩვენი მეციტრუსეების ღირსების საქმეა ყოველძხრივ მომზადებული შეხვდნენ ამ პასუხსაგებ სამუშაოს, მოსავალი აიღონ დროულად და უდანაკარგოდ, პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე.

წელს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ციტრუსოვანთა ნაყოფის დამამზადებელი ორგანიზაციები შარშანდელზე უკეთესად ემზადებიან სეზონისათვის. შემფუთავი ქარხნების, პავილიონების მომზადება ციტრუსოვანთა ნაყოფის გადასამუშავებლად ადრევე დაიწყო. კარგად ემზადება, მაგალითად, გაგრის შემფუთავი ქარხანა. დამთავრდა ქარხნის მთავარი კორპუსის რემონტი, წესრიგზეა მოყვანილი ნაყოფის დამყალიბებელი მანქანები, მუშათა საერთო საცხოვრებელი და სასადილო, ელექტროგაყვანილობა. ქარხანას მუშებიც საკმაო რაოდენობით ჰყავს. მსგავსი მაგალითები ბევრია.

მაგრამ ზოგიერთი დამამზადებელ-ორგანიზაცია საკმაო ყურადღებას არ აქცევს შემფუთავი ქარხნების დროულად მომზადებას, რის გამო ხვედებით მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს. სოხუმისა და გულრიფშის შემფუთავი ქარხნები ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არიან სამუშაო და საგზავნი ყუთებით. „აფხაზკავშირისა“ და აფხაზეთის დამამზადებელი კანტორის სისტემაში შემავალი შემფუთავი ქარხნების ერთ ნაწილს საკმაო რაოდენობით არა ჰყავს მუშები, არც საერთო საცხოვრებლების კეთილმოწყობისათვის ზრუნავენ, ნელი ტემპით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა ნაყოფის შესაფუთავი ქაღალდის შეზიდვა.

მახარაძის რაიონში ჭიანურდება ნატანებ-შრომის, მერია-თხინვალის და მერია-კონჩხათის გზების, მდინარე სუფსაზე გადასასვლელი ხიდის შეკეთება. მერიის შემფუთავ ქარხანასთან საჭიროა მოეწყოს გადახურული ბაქანი ვაგონებში დატვირთვამდე ციტრუსებით სავსე ყუთების მოსათავსებლად. ეს საკითხი შარშანაც იყო დასმული, მაგრამ რატომღაც მას დუმილით აუარეს გვერდი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა. მსგავსი რამ წელს აღარ უნდა განმეორდეს, რკინიგზამ ქმედითი ზომები უნდა მიიღოს საკითხის მოსაგვარებლად, მეტი დახმარება გაუწიოს მეციტრუსეებს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და გადამუშავების საქმეში.

გადაჭრით უნდა გაძლიერდეს წინასწარი მზადება ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების სეზონისათვის. ჯერ კიდევ არიან ნაკლოვანებათა გამოსწორების დრო. საჭიროა სწორად მოვაწყოთ შრომა, გადამწყვეტ უბნებზე შევარჩიოთ საქმის მცოდნე და მუყაითი მუშაკები, გავაძლიეროთ მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ საპლანტაციო გზების კეთილმოწყობას. სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ შემფუთავ ქარხნებთან და მიმღებ პუნქტებთან მისასვლელი გზები ახლავე შეკეთდეს.

სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან დამამზადებელი ორგანიზაციები — საქკონსერვტრესტი, ცეკავშირი, ლიმმანტრესტი და სხვა. მათ მოქნილ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულება. უწინარეს ყოვლისა საჭიროა უმოკლეს ხანში დავამთავროთ შემფუთავი ქარხნების, პავილიონების რემონტი, თვითეული ქარხანა უზრუნველვყოთ მუშახელით, დაძყალიბებელი მანქანებით, ელექტროგაყვანილობით, ყუთებით, ნაყოფის შესახვევი და ვაგონების შესაფუთავი ქაღალდით და სხვა საჭირო ინვენტარით. ქარხნის პარტიულმა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების, კულტურული მომსახურების სისტემატური გაუმჯობესებისათვის. საამისოდ მათ ყველა პირობა მოეპოვებათ.

საქმის წარმატებას კადრები, ადამიანები წყვეტენ. ამთავითვე საჭიროა მოვაწყოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავებაზე მომუშავეთა მომზადება და გადამზადება, განუწყვეტლივ ვიზრუნოთ მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შემფუთავ ქარხნებსა და მიმღებ პუნქტებში მწონავებად და საანგარიშო დარგში სამუშაოდ შევარჩიოთ მცოდნე და შემოწმებული მუშაკები.

ტრანსპორტის სწორად გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ნაყოფის თავის დროზე და უკეთესად გადამუშავება. საჭიროა სრული დატვირთვით გამოვიყენოთ თვითეული ავტომანქანა, ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავებაზე მომუშავე მძღოლთა შორის მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება, რათა მთელი ტრანსპორტი სანიმუშოდ მუშაობდეს.

კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა სოფლის მშრომელებს უნდა გააცნონ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, რაიონის მიერ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებას, ნაყოფის სწორად გადამუშავებას და დანიშნულებისამებრ შეუფერხებელ გადაგზავნას. სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის სწორი შეხამება ციტრუსოვანთა მეურნეობის დარგში წარმატებათა მოპოვების საფუძველია.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა: „...საქართველოს ბოლშევიკებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ უკვე წელს მიიღოს საქართველოდან ციტრუსოვანთა პირველი მილიარდი ნაყოფი“.

სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ ამ მითითების განუხრელად განსახორციელებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს შევხვდეთ ახალი წარმატებებით ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის კრეფა-გადამუშავების საქმეში!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ, ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ Კ. ᲞᲘ. (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲝᲕᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ტუვის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს

საკავშირო კ. პ. (ბ) ტუვის საოლქო კომიტეტს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმებიან ტუვის ავტონომიური ოლქის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და ყველა მშრომელ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ტუველი ხალხის შესვლის მეხუთე წლისთავის დღეს.

განვლილ ხუთ წელიწადში ტუვის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ოლქში შექმნილია სასოფლო-სამეურნეო არტელები, მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების საზოგადოებრივი წარმოების ამხანაგობანი, გადიდებულია ნათესი ფართობები, გაუმჯობესებულია მიწათმოქმედების კულტურა, ამაღლებულია მინდვრების მოსავლიანობა, წარმატებით ვითარდება საკოლმეურნეო მეცხოველეობა.

საბჭოთა ტუვაში სწრაფად ვითარდება სოციალისტური მრეწველობა, განუხრელად მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე.

ოლქში წლითიწლობით დიდდება სასწავლებელთა, საავადმყოფოთა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. იზრდება სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა. შექმნილია და მუშაობენ ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ეროვნული თეატრი, საბჭოთა მწერლების კავშირის განყოფილება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ულოცავენ ტუვის ავტონომიური ოლქის მშრომელებს მისი შექმნის მეხუთე წლისთავს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა ტუვის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია კვლავაც თავდადებულად იშრომებენ სსრ კავშირის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში, დაუღალავად იბრძოლებენ ოლქის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ტუვის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ ულოცავს ტუვის ავტონომიური ოლქის მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ტუვის შესვლის მეხუთე წლისთავს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შესვლიდან გასულ ხუთ წელიწადში ტუვის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით, დიდ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმეში. ოლქში წარმატებით ვითარდება საკოლმეურნეო მეცხოველეობა და მიწათმოქმედება, იზრდება სოციალისტური მრეწველობა და კულტურა. მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უსურვებს ტუვის ავტონომიური ოლქის მშომელებს ახალ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში და გამოთქვამს რწმენას, რომ ტუვის ავტონომიური ოლქის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ თავიანთი ოლქის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ა. მ. გორკის წერილი ვ. გ. კოროლენკოსადმი

ლვოვი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ლვოვის ივანე ფრანკოს მემორიალურმა მუზეუმმა შეიძინა საინტერესო დოკუმენტი: ორიგინალი ა. მ. გორკის წერილისა ვ. გ. კოროლენკოსადმი. 1913 წელს დაწერილ ამ წერილში დიდი რუსი მწერალი სთხოვდა ვ. გ. კოროლენკოს მონაწილეობა მიეღო ივანე ფრანკოს 40 წლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში. ეს კრებული გამოვიდა ლვოვში 1916 წელს. კოროლენკო ცხოვლად გამოეხმაურა ა. გორკის თხოვნას და კრებულისათვის დაწერა ვრცელი სტატია. გორკიმ კრებულისთვის გაგზავნა თავისი მოთხრობა „ლუკა ჩეკინი“.

ახალი დოკუმენტი წარდგენილია მუზეუმის ექსპოზიციაში.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ი. ბ. სტალინის მონუმენტი

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). ადმინისტრაციული სახლის წინ, ბაღში დაიდგა ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის მონუმენტი. მონუმენტის სიმაღლე 7,5 მეტრია.

საბავშვო სახლი

ქლუხორი. (საკ. კორ.). სოფელ მზისის მახლობლად, რომელიც ქლუხორიდან 18 კილომეტრზე მდებარეობს, ეწყობა ახალი საბავშვო სახლი 150 ბავშვისათვის, რომელიც მოკლე ხანში გაიხსნება.

საბავშვო სახლისათვის გამოყოფილ იქნა 3 ორსართულიანი და რამდენიმე ერთსართულიანი შენობა, რომლებიც მთლიანად დაამყაყოფილებენ საბავშვო სახლის მოთხოვნილებას ბინებით. ამჟამად მიმდინარეობს ამ შენობების რემონტი. საბავშვო სახლისათვის მოეწყობა საკუთარი პურის საცხობი, აბანო და სხვა საჭირო დამხმარე სათავსოები.

გაყვანილ იქნება ელექტროგანათება და რადიოქსელი.

შენდება აფთიაქი

მცხეთა. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში აფთიაქისათვის აშენებენ რვაოთახიან ახალ სახლს. მშენებლობა წელს დამთავრდება და 120 ათასი მანეთი დაჯდება. მშენებლობას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის საფთიაქო სამმართველო.

ღვინის ჩამომსხმელი ქარხანა

გორი. (საკ. კორ.). გორის შამპანურ ქარხანათა მმართველობამ სერიოზული ღონისძიებები გაატარა სოფელ ატენში სამარკო ღვინის — ატენურის დამზადების უზრუნველსაყოფად. გასულ წლებში აქ აშენდა ყურძნის მიმღები და გადამმუშავებელი განყოფილება 20.000 დეკალიტრი ღვინის ტევადობისა. ახლახან დამთავრდა მეორე კორპუსის მშენებლობა, სადაც იწარმოებს ღვინის დამუშავება მაცივარმოწყობილობის დახმარებით და მოხდება ატენური მარკის ღვინის ჩამოსხმა. საუკეთესოდ არის მოწყობილი ღვინის ჩამომსხმელი, მაცივარი და მზა ნაწარმის საამქროები. იქვე მოწყობილია ლაბორატორია.

ატენის ღვინის ქარხანა საუკეთესოდ მოემზადა ყურძნის მიღებაგადამუშავებისათვის. იგი წიოს მიიღებს და გადაამუშავებს 2.500 ტონა ყურძენს. ღვინის ჩამოსხმას აქ შეუდგებიან მომავალი წლის 9 ზაფხულიდან.

ბინები მასწავლებელთათვის

ყაზბეგი. (საკ. კორ.). ლარსის სათოფლო საბჭოს აღმასკომი შეუდგა მასწავლებელთათვის სამოთახიანი სახლის მშენებლობას. მშენებლობა წელს დამთავრდება.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ავჭომშენებლები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის მშენებელთა კოლექტივი, ახალი გამარჯვებებით ხვდება დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. მშენებლებმა ვადამდე შეასრულეს 9 თვის გეგმა და რამდენიმე ნაგებობა გადასცეს საექსპლოატაციოდ. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სახელოსნო სასწავლებლის ორსართულიანი შენობა 400 კვადრატული მეტრი ფართობით.

საოქტომბრო შეჯიბრებაში მშენებლობის ყველა უბანზე ახალი აღმავლობით აღინიშნება. მექანიკურ-ამწყობი კორპუსის მშენებლობის კოლექტივი სწრაფად ახორციელებს გამაერთიანებელ-ჩამომსხმელი და სამჭედლო საამქროების მშენებლობას.

წინასაოქტომბრო დღეებში მაღალნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ბინათმშენებლობის და მთელი რიგი სხვა უბნები, რომლებიც დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებენ.

საოქტომბრო შეჯიბრებაში ასობით მოწინავე მშენებელი ახალ წარმატებებს აღწევს. მათ შორის საყურადღებო მაჩვენებლებით გამოირჩევიან სამუშაოთა მწარმოებლები ო. ბიბილეიშვილი, მ. უსტიმენკო, ბრიგადირი ა. თავართქილაძე, კალატოზები ვ. კირთაძე, გ. მელაძე, ვ. მოსეშვილი, დურგალი ვ. ჩხეიძე და სხვები.

მოწინავე საამქრო

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხანაში ერთ-ერთი ძირითადია მარგანეცის საამქრო. ამ საამქროში ამჟამად ოთხი სახის შენადნობს უშვებენ, რაც მეტად ძვირფას პროდუქციას წარმოადგენს ჩვენი მეტალურგიული მრეწველობისათვის.

საამქროს კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა აგვისტოს დავალება, სექტემბერში ჩაება საოქტომბრო შეჯიბრებაში და მესამე კვარტალის გეგმა 24 სექტემბრისათვის შეასრულა. კვლავ მოწინავეა პირველი ცვლა (უფროსი დ. კოზირიძე). საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმული მდნობელი სტახანოველები შ. გედენიძე, ი. ფირცხალავა და სხვ. დღიურ ნორმებს 120-125 პროცენტით ასრულებენ. კარგად მუშაობენ პეროქსიდის გამომწველები ო. მესხი და ვ. შავიძე. ისინი ახალგაზრდა მუშები არიან, რომელთაც წელს დაამთავრეს ქარხანასთან არსებული სახელოსნო სასწავლებელი და წარმოებაში მოსვლისთანავე გაითქვეს სახელი.

მარგანეცის საამქროს გეგმების შესრულებაში უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდა, რომ მას ხელს არ უშლიდეს ზოგიერთი მასალის დროზე მიუღებლობა, მაგალითად, მეტალური მარგანეცის მისაღებად, რომელსაც ეს საამქრო უშვებს, საჭიროა პეროქსიდი, რასაც ქარხანას ჭიათურის მარგანეცის ტრეტი აწვდის. 1-6 სექტემბრამდე უნდა მიეღოთ 40 ტონამდე პეროქსიდი, სინამდვილეში არც ერთი გრამი არ მიუღიათ, ასევე არ მიუღიათ 20 ტონამდე პეროქსიდი 15-19 სექტემბრის განმავლობაში, რის გამო საამქროში მუშაობა შეფერხდა.

მარგანეცის საამქროს კოლექტივი, რომელიც ფეროშენადნობთა ქარხნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს, წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულოს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ახალი გამარჯვებებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავს.

15.500 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეჭებით

სამტრესტის კონიაკის კომბინატის თბილისის კონიაკარყის № 4 ქარხანა უშვებს სხვადასხვა მარკის არაყსა და კონიაკს. მათ შორის უმაღლესი ხარისხის სამარკო კონიაკებია „ძველი“, „ძველისძველი“ და სტალინური პრემიის ლაურეატის ვ. ციციშვილის მიერ გამოყვანილი ქართული კონიაკი—„ენისელი“.

ქარხანას მეორე კვარტალის გეგმის საგრძნობი გადაჭარბებით შესრულებისათვის პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით მიეცა ფულადი ჯილდო 15.000 მანეთი და გადაეცა სამტრესტის გარდამავალი წითელი დროშა.

მაღალ შეფასებას ქარხნის კოლექტივმა ახალი საწარმოო აღმავლობით უპასუხა, მესამე კვარტალში უფრო გაუმჯობესა მუშაობა და საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 131,1 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით კარგად იმუშავა ქარხნის კოლექტივმა სექტემბერში და თვიური გეგმა 156,2 პროცენტით გაანაღდა. მიმდინარე წლის 8 თვეში ქარხანამ სახელმწიფოს მისცა 2.205 ათასი მანეთი დაგროვება.

ამჟამად ქარხანაში გაჩაღებულია საოქტომბრო შეჯიბრება წლიური გეგმის დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავისათვის შესასრულებლად და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 15.500 ათასი მანეთის პროდუქციის გამოსაშვებად.

კოლმეურნეობაში კულტურის სახლს აშენებენ

თელავი. (საკ. კორ.). სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში“ წელს დამთავრდება კულტურის სახლის მშენებლობა. კულტურის სახლში მოეწყობა 500-ადგილიანი დარბაზი, ბიბლიოთეკა და ოთახები სწრეო მუშაობისათვის.

მშრომელები იძენენ მსუბუქ ავჭომანქანებს

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). რაიონის 120-ზე მეტმა მშრომელმა პირადი დანაზოგით შეიძინა მსუბუქი ავტომანქანები „მოსკვიჩი“ და „პობედა“.

სოფელ აკვასკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. თ. ბაგათელიამ დანაზოგით შეიძინა „პობედა“. ასეთივე მარკის მანქანა შეიძინა სოფ. მერკულის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. თ. კოკოსქერიამ.

სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან და მარჯვოხელა დედებს

ახმეტა. (საკ. კორ.). რაიონული საბჭოს აღმასკომის მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების განყოფილებამ 1948-49 წლების განმავლობაში სახელმწიფო დახმარების სახით გასცა 1.557.000 მანეთი.

სოფელ არაშენდაში მცხოვრებ გმირ დედას ნინო დიაკონაშვილს, რომელსაც 11 შვილი ჰყავს, დღემდე სახელმწიფოსაგან მიღებული აქვს 42.000 მანეთი. საბუეში მცხოვრებ 10 შვილის დედას ნინო თედეშვილს მიღებული აქვს 41.000 მანეთი, ქვემო ხალაწელ 11 შვილის დედას ოლია ცხოვრებოვს — 40.000 მანეთი და ა. შ.

ახალი მშენებლობანი მევენახეში

ქასპი. (საკ. კორ.). სოფელ მეტეხის კოლმეურნეობა „გლეხის იმედმა“ (თავმჯდომარე შ. აბრამაშვილი) დაამთავრა საკოლმეურნეო აბანოს მშენებლობა. მშენებლობა დაჯდა 30.000 მანეთი. კოლმეურნეობაში აგრეთვე მიმდინარეობს მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმებისათვის სადგომი ბინების მშენებლობა.

საცხოვრებელი სახლი

ჟოგუულეთი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში ცეკავშირის ჟობულეთის ცენტრუს-ხილის გადამმუშავებელმა კომბინატმა აგო ახალი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ამჟამად მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა და გამწვანება. კომბინატის ბევრი მუშა-მოსამსახურე უკვე გადავიდა საცხოვრებლად ახალ ბინებში. მშენებლობაზე 600 ათასი მანეთი დაიხარჯა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით ხუთასი ათასი ფუთი პურის ჩაბარების შესახებ.

1949 წლის 5 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია ერთი მილიონი ფუთი პური. გეგმის გადამეტებით ჩაბარება გრძელდება.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი გ. პეკოვი

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. გურილიოვი

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული მოსკოვის ოლქში ი. აბრამოვი

სოფლის მეურნეობის მოსკოვის საოლქო სამმართველოს უფროსი დ. ხოროხორინი

მსხვილი მოგებანი

9 ოქტომბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შედგა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის გამოშვების მეორე ტირაჟი. გათამაშებულ იქნა 520.116.400 მანეთის 1.949.250 მოგება.

50 ათასი მანეთი მოგება ხვდა 50998 სერიის № 22 ობლიგაციას, 25 ათას მანეთ მოგებას მიიღებენ 53432 სერიის № 20 ობლიგაციისა და 52860 სერიის № 3 ობლიგაციის მფლობელები.

10 ათასი მანეთი მოგება ხვდათ შემდეგ ობლიგაციებს: 52010 სერიის № 14, 55085 სერიის № 39, 55590 სერიის № 28, 46967 სერიის №46 და 51676 სერიის № 22 ობლიგაციებს. გათამაშებულ იქნა აგრეთვე 5 ათას მანეთიანი, 1 ათას მანეთიანი, 500 მანეთიანი და 200 მანეთიანი მოგებანი. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

აგიტკოლექტივი ამ დღეებში

შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. ცისკარიშვილი ხელმძღვანელობს, სამი თვის წინათ ჩამოაყალიბეს აგიტკოლექტივი, დაიწყო თუ არა მოსავლის აღება, 12 აგიტატორმა ქმედითი, დამაჯერებელი აგიტაცია გააჩაღა მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. საველე საწყობებთან, დასასვენებელ ადგილებში, კოლმეურნეობის კანტორასთან აგიტატორებმა გამოაკრეს ლოზუნგები: „სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი“, „პირველ რიგში მოვიხადოთ სახელმწიფო ვალდებულება“, „გავუფრთხილდეთ საკოლმეურნეო ქონებას“, „მოსავალი დავიცვათ ხანძრისაგან“ და სხვ.

აგიტატორი ქენია მჭედლიშვილა კოლმეურნეობის მეორე ბრიგადაში გაიგზავნა. მოსავლის აღების პერიოდში მან 27 საუბარი ჩაატარა. ჩვენი ქვეყნის მიღწევებს და უცხოეთის ამბებს კოლმეურნეებს რომ გააცნობდა, შემდეგ მათ წინაშე მდგომ ამოცანებზე დაუწყებდა საუბარს. მან ბრიგადის წევრებს განუმარტა ბრიგადირ ნ. ნიკოლოზიშვილის გამოცდილება, რომელსაც ხორბლის უხვი მოსავლის მიღებისათვის მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირობა. კოლმეურნეებმა ნინო ახალბედაშვილმა და მელო ხატიაშვილმა მკის დროს ორორი დღე გააცდინეს. აგიტატორმა ამ ფაქტთან დაკავშირებით ბრიგადაში სპეციალური საუბარი ჩაატარა.

ახლა, როცა თვითეული წუთიც კი ძვირფასია, — აღნიშნა მან, — აღნიშნულმა კოლმეურნეებმა ორი დღე გააცდინეს. ამით ისინი დანაშაულს ჩადიან სახელმწიფოს, ხალხის, თვიანთი ოჯახის წინაშე. თქვენ კარგად იცით, რომ ვინც კარგად მუშაობს, ის უხვ მოსავალსაც იღებს. ცოლ-ქმარი ილია და ტასო თეთრაშვილები მოხუცები არიან, მაგრამ მუშაობაში ახალგაზრდებს არ ჩამორჩებიან. შარშან მათ 760 შრომადღე გამოიმუშავეს. 2.000 კილოგრამზე მეტი მარცვლეული, 5.320 მანეთი ფული, ღვინო და სხვა პროდუქტები მიიღეს.

აგიტატორმა ჩამორჩენილებს მოუწოდა, რომ მოწინავეებისათვის მიებაძათ. მჭედლიშვილი ამით არ დაკმაყოფილდა. იმავე დღეს მან გამოუშვა საველე გაზეთი, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა კოლმეურნეები ნინო ახალბედაშვილი და მელო ხატიაშვილი. ამან საუკეთესო შედეგი გამოიღო. დასახელებული კოლმეურნეები შემდეგ სისტემატურად მუშაობდნენ მკაზე.

მოსავლის აღების პერიოდში თავი ისახელა აგრეთვე აგიტატორმა ვ. ბურდიაშვილმა. გარდა იმისა, რომ იგი ატარებდა საუბრებს, საველე საშრობთან მოაწყო წითელი კუთხე, რომელიც უზრუნველყო გაზეთებით, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით.

მასობრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ ვარგი ნაყოფი გამოიღო. კოლმეურნეობამ 265 ჰექტარი პური და ქერი 10 სამუშაო დღეში მომკო. მოხუცებმა და მოზარდებმა 10 ტონაზე მეტი თავთავი აკრიფეს. გეგმით კოლმეურნეობას საშუალოდ ჰექტარზე 11 ცენტნერი პური უნდა მიეღო, ფაქტიურად 12 ცენტნერი მიიღო. ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ნ. ნიკოლოზიშვილი ხელმძღვანელობს, 77 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე 13 ცენტნერი პური მიიღო. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს 73 ტონა პური ჩააბარა. ეს გეგმაზე 15 ტონით მეტია.

მოსავლის აღება რომ დამთავრდა, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა დ. ფირანიშვილმა აგიტატორთა სპეციალური თათბირი მოიწვია. აგიტატორებმა ილაპარაკეს თავიანთ გამოცდილებაზე. ნაკლოვანებანიც ამხილეს და მუშაობის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი წინადადებანი წამოაყენეს. ამ წინადადებათა საფუძველზე კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ სათანადო ღონისძიებანი დასახა.

კოლმეურნეობაში თამბაქოს შეტეხა დაიწყო. გეგმით 155.000 ზონარმეტრი თამბაქო უნდა შეტეხონ. აგიტატორმა ეთერ ელოშვილმა მეთამბაქოე კოლმეურნეებთან საუბარი ჩაატარა. ურჩია მათ, რომ თამბაქოს ფოთლის შეტეხა არ დააგვიანონ, შეტეხა აწარმოონ ფოთლის ტექნიკური სიმწიფის პერიოდში, ანემსვა ერთ დღე-ღამეში მოასწრონ. ელოშვილმა სამი საველე გაზეთი გამოუშვა. გაზეთებში ფართოდ იქნა გაშუქებული თამბაქოს ფოთლის შეტეხის მიმდინარეობა. ამით დიდი დახმარება გაუწია კოლმეურნეობის გამგეობას. კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა თამბაქოს შეტეხის დავალება. შარშან 14.681 კილოგრამი თამბაქო ჩააბარეს სახელმწიფოს; წელს უფრო მეტს ჩააბარებენ.

კოლმეურნეობას 70 ჰექტარი სიმინდი აქვს. შარშან ჰექტარზე საშუალოდ 29 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. წელს რომ მეტი მიეღოთ, სიმინდის ნათესები სანიმუშოდ დაამუშავეს. სიმინდის მოსავლის აღება უკვე დაიწყო. აგიტატორმა ა. ჯიდალიშვილმა კოლმეურნეებთან საუბარი ჩაატარა სიმინდის უდანაკარგოდ და თავის დროზე აღებისათვის, სათავეში ჩაუდგა ბრიგადებსა და რგოლებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებას.

კოლმეურნეობამ საშემოდგომოდ 200 ჰექტარი უნდა დათესოს. ხვნაზე 8 გუთნეული შეაბეს. აგიტატორები ა. ბერიაშვილი და ქენია მჭედლიშვილი სისტემატურად საუბრობენ ხვნაზე მომუშავე კოლმეურნეებთან. დამაჯერებლად განუმარტავენ მათ, რომ საშემოდგომო ხვნა-თესვის საკითხებს, იმას, თუ როგორ მუშაობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 2 ოქტომბერს. მოწინავე წერილში „მშრომელთა სუფრას მივაწოდოთ მაღალხარისხოვანი ყურძენი და ღვინო“ გაზეთი მოუწოდებს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს უდანაკარგოდ აღონ და გადაამუშაონ ყურძნის მოსავალი, მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა ადგილობრივი რესურსები ტარამასალის შეძენის დარგში.

რუბრიკაში „აგრონომიული რჩევა-დარიგება“ დაბეჭდილია დოცენტ გ. ბერიძის წერილი. ავტორი კოლმეურნეთა ყურადღებას ამახვილებს ყურძნის კრეფის წესებსა და მათი დაცვის აუცილებლობაზე. გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობა „გუთნის“ თავმჯდომარე ამხ. რ. ბერიაშვილი მოგვითხრობს, თუ რა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოიყვანეს აქ უხვი მოსავალი.

მეორე ნომრის მოწინავე წერილსა „მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ღირსების საქმე“ და რუბრიკაში „სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის უხვი მოსავლისათვის. ვინ გაიმარჯვებს?“ ნაჩვენებია გამოცდილება მოწინავე მევენახეებისა, რომლებმაც წელს გადაჭარბებით შეასრულეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს.

გამსვლელმა რედაქციამ თელავში მოაწყო „კომუნისტის“ მკითხველთა და ავტორთა რაიონული თათბირი. საკითხზე „გაზეთი და მისი აქტივი“ მოხსენება წაიკითხა „კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა ამხ. ა. კოკილაშვილმა. თათბირის ანგარიშში მოცემულია სოფელ ქვემოხოდაშნის კოლმეურნეობის აგრონომის პ. ჩიხლაძის, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელის გ. ბეჟუაშვილის, ვანთის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსის გ. ხუსხელიძის მიერ გაზეთის გარშემო გაკეთებული კრიტიკული შენიშვნები და საქმიანი წინადადებანი.

გაზეთის ამ ნომერში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ყურძნის დროზე და უდანაკარგოდ აღების საკითხს. ამასვე მოგვითხრობენ თავიანთ წერილებში გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ოსოშვილი, გურჯაანის რაიონის ველისციხის საბოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ალ. ოგანოვი. კორესპონდენციაში „რატომ აჭიანურებენ ხვნა-თესვას?“ მოთხრობილია იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ჩამორჩენა საშემოდგომო თესვაში კონდოლის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში. პარტიული ცხოვრების განყოფილებაში მოთავსებულია საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტის ამხ. მ. ზურაბოვის კორესპონდენცია „პირველი დღე პარტიული განათლების ჭსელში“.

გაზეთი გამოვა ყოველ ორ დღეში ერთხელ. გამსვლელი რედაქცია სულ გამოსცემს 10 ნომერს.

„კომუნისტის“ გამსვლელი რედაქცია თელავის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონებში

როგორ ასრულებენ გორელი მეხილეები ნაკისრ ვალდებულებებს

მიმდინარე წლის გაზაფხულზე გორის რაიონის მეხილეებმა მოწოდებით მიმართეს საქართველოს კოლმეურნეებს ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება ხილის უხვი მოსავლის მისაღებად. გორელთა მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა.

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები ენერგიულად იბრძვიან ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის. სოფელ ქიწისის კოლმეურნეობა „ახალ შრომაში“ ხეხილის ბაღებს 103 ჰექტარი უკავია. კოლმეურნეებმა მთელი ფართობი მოხნეს და მწკრივთა შორის დაბარეს. ბაღებში შეიტანეს დიდძალი ორგანული სასუქი, ჩაატარეს ხეების წამლობა. კარგი მოვლის შედეგად ხეხილს საუცხოოდ ასხია. ქიწისელები წელს ხილის უხვ მოსავალს მიიღებენ.

გორი-სტალინირის გზის პირას გადაჰიმულია ქიწისის ბერიას სახელობის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ხილის ბაღებს 242 ჰექტარი უკავია. აქედან 80 ჰექტარი სრულმოსავლიანია. ბაღებში დროულად, საკმაო რაოდენობით შეიტანეს მინერალური და ადგილობრივი სასუქები. მეურნეობის მუშაკთა თავდადებულ შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. ხილის ბაღებს საუკეთესოდ ასწია. მეურნეობის მუშაკები გეგმით გათვალისწინებული 17.385 ფუთის ნაცვლად 27.000 ფუთზე მეტ ვაშლს ჩააბარებენ სახელმწიფოს. მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი ამხ. ვ. გოგია) წარმატებით ემზადება ხილის უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. დაკომპლექტებულია ხილის მკრეფავთა ბრიგადები, მომზადებულია საწყობები, ტრანსპორტი, ტარამასალა, კალათები და სხვა საჭირო ინვენტარი.

ხეხილის ბაღებს სანიმუშოდ მოუარეს და უხვ მოსავალსაც მოელიან სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის მეხილეები. წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს აგრეთვე სოფელ ქვემო ახალსოფლის, ქერეს, კარალეთის და სხვა კოლმეურნეობათა მეხილეები. სოფელ ვარიანის კოლმეურნეობაში ხილის ყველაზე მაღალ მოსავალს მოელის მეხილეობის ის ბრიგადა, რომელსაც რ. ყასუმაშვილი ხელძღვანელობს. კოლმეურნე ზ. ბერკაცაშვილი მოსავლელად მიჩენილი ერთი ჰექტარი ხილის ბაღიდან 15 ტონა ვაშლს მიიღებს.

სერიოზული მუშაობა მართებს წელს საქკონსერვტრესტის გორის დამზადების კანტორას, რომელმაც კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან უნდა მიიღოს და დაამზადოს 4.600 ტონაზე მეტი ხილი. ხილის მიმღები მთელი რიგი პუნქტები უკვე მზად არიან ხილის მისაღებად, მაგრამ ამ საქმეში მაინც არის ნაკლოვანებანი. მუშახელის სმცირით და საშენი მასალის უქონლობით ჭიანურდება ხილის ახალი მიმღები პუნქტების მშენებლობა სოფელ ქორდში და ქერეში. ხილის მიმღები პუნქტები აწარმოებენ კურკოვანი და თესლოვანი ხილის დამზადებას, მაგრამ ზოგან უკონდიციო ხილს იღებენ. სოფელ ფლავის მიმღებმა პუნქტმა ერთდროულად დიდი რაოდენობით მიიღო ატამი, პუნქტის გამგემ რ. დაფქვიაშვილმა ვერ უზრუნველყო მისი დროული გადაზიდვა, რის გამოც ამ პუნქტიდან ძალზე დაზიანებული ატამი ჩაბარდა გორის საკონსერვო ქარხანას.

დაწესებული არ არის ხილის კრეფის გრაფიკი. დამზადების კანტორამ ხილი გადასამუშავებლად უნდა ჩააბაროს გორის საკონსერვო ქარხანას, მაგრამ ხილის გადამუშავების კასრების უქონლობა აფერხებს. ამ საქმეში დამნაშავეა გორის სატარე ქარხანა, მას დავალებული აქვს საკონსერვო ქარხანას ყოველდღიურად მიაწოდოს 150 კასრი, მაგრამ დავალებას ცუდად ასრულებს.

ხილის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ხილის დამზადებისა და გადაზიდვის შეუფერხებლად ჩატარებისათვის.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სოციალისტური შეჯიბრება საქალაქო საბჭოებს შორის

საქალაქო მეურნეობის მეშვიდწლედი ადმავლობისათვის

ბერიას რაიონი

სესიამ მხურვალედ დაუჭირა მხარი ლენინის რაიონული საბჭოს ინიციატივას, მიიღო გამოწვევა და თავის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის მოლოტოვის რაიონული საბჭო.

რაისაბჭომ აიღო კონკრეტული ვალდებულებანი: ვადაზე ადრე, 20 დეკემბრისათვის, მთლიანად ათვისებულ იქნება კაპიტალურ სამუშაოთა შესასრულებლად გეგმით გათვალისწინებული ასიგნობანი 3.620 ათასი მანეთის ოდენობით;

მოსახლეობის წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის შეიცვლება წყალსადენის დაზიანებული ქსელი 500 მეტრზე, სარწყავი ქსელი გადიდდება 1.000 მეტრით;

ელექტროენერგიით რაიონის მშრომელთა უკეთ უზრუნველყოფის მიზნით წლის ბოლომდე ამენდება 5 სატრანსფორმატორო კიოსკი, 3.000 გრძივი მეტრით გაფართოვდება საკაბელო ქსელი;

მთავარი ყურადღება მიექცევა საბინაო ფონდის დაცვას და მის შემდგომ მოვლა-პატრონობას; საცხოვრებელი სახლების მიმდინარე კაპიტალური რემონტის გეგმა მაღალხარისხოვნად შესრულდება 20 დეკემბრისათვის;

7 ნოემბრამდე ჩატარდება 30.000 კვადრატული მეტრი ქუჩების მოასფალტება;

მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება 1.500 ძირი ხე სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ფერდობზე. კომუნარების ბაღში ამენდება 320 კვადრატული მეტრი ახალი ორანჟერია. ზამთრის სეზონისათვის უზრუნველყოფილ იქნება მწვანე ნარგავების სანიმუშოდ მოვლა;

მოსწავლეთა შორის ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებისათვის ქალთა 1-ლ და მე-40 საშუალო სკოლების ეზოში მოეწყობა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, დაჩქარდება 26 კომისრის სახელობის ბაღში სასპორტო მოედნის მშენებლობა;

უახლოეს დღეებში ჩატარდება მე-13 და მე-14 პოლიკლინიკების რემონტი.

1949 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ადგილობრივი შემოსავლის გეგმა შესრულდება 110 პროცენტით.

ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად რაიონული საბჭოს აღმასკომთან მოეწყობა „დეპუტატის ოთახი“.

სესიამ დეპუტატებს დაავალა აქტივისა და ამომრჩეველთა დარაზმვით მიაღწიონ ნაკისრ ვალდებულებათა განუხრელად შესრულებას.

სტალინის რაიონი

მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაიონული საბჭოს სესიამ მიიღო ლენინის რაიონული საბჭოს გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ და იკისრა კონკრეტული ვალდებულებანი:

ვადაზე ადრე, მთლიანად ათვისებული იქნება კაპიტალურ სამუშაოთა შესასრულებლად გათვალისწინებული ასიგნობანი;

ელექტროენერგიით რაიონის მშრომელთა უკეთ უზრუნველყოფის მიზნით ბრძოლის ქუჩაზე ამენდება ერთი ახალი სატრანსფორმატორო კიოსკი.

რაიონის უკეთ გამწვანებისათვის სანერგეებში გამოყვანილ იქნება 15.000 ძირი მწვანე ბუჩქი. კარგი მოვლით შენარჩუნებულ იქნება დარგული 35.580 ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარე, სადგურ დიდუბის მიდამოს გასამწვანებლად დაირგება 500 ძირი ხე;

გადაჭარბებით შესრულდება 1949 წლის ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმა;

წლის ბოლომდე მოიკირწყლება ქუჩის სავალი ნაწილი 18.500 კვადრატულ მეტრზე;

ზამთრისათვის მომზადდება ყველა საცხოვრებელი ბინა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საბინაო ფონდის დაცვასა და შემდგომ გადიდებას, უზრუნველყოფილ იქნება მიმდინარე წლის ბინების მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულება.

ვაჭრობისა და მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების დარგში მთავარ ამოცანად დაისახა რაიონის მშრომელთა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესება. რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი, რომელიც ერთ-ერთი სანომუშოა დედაქალაქში, კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდება.

მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებებია აღებული აგრეთვე სახალხო განათლების, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, სანიტარული წესრიგის დამყარების, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში და სხვ.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო თემაზე

საკოლმეურნეო კანტორა

უსწორმასწორო კიბით ადიხართ მოაჯირდაზიანებულ ივანეზე. არასასიამოვნო განწყობილება უფრო გიძლიერდებათ, როცა შედიხართ ვიწრო ოთახში, რომელიც ზნაურის რაიონის სოფელ დიდმუხის კოლმეურნეობის კანტორას აქვს დათმობილი.

კანტორის კედლები შავად არის შეღებილი. კედლებზე ძველი ფურცლებია გაკრული, რომლებიც ისე გაყვითლებულა, რომ ვერაფერს ამოიკითხავ. ოთახში დგას ერთადერთი გრძელი სკამი და ორი მაგიდა. მაგიდები გადაუფარებელია. „მოცლილ“ ხელს სხვადასხვა წარწერებით აუჭრელებია ისინი. მაგიდებზე უწესრიგოდ ყრია სხვადასხვა ქაღალდები. აქვეა ერთადერთი საბელნე და შუშის ხატეხი. კოლმეურნეობის მოთანგარიშე გ. ბესტაევი დიდხანს დაეძებდა კალმისტარს უჯრაში. იატაკიც დანაგვიანებული იყო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პეტრე კულუმბეკოვს გავუზიარეთ ჩვენი შთაბეჭდილება.

— გეცოდინებათ, — გვითხრა მან, — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბევრი საქმე აქვს, რომ ყველაფერზე ფიქრისათვის დრო არა რჩება. მეც მეუხერხულება ასეთ კანტორაში ყოფნა, მაგრამ რა ვქნა(!).

სოფელ დიდმუხას რომ კარგი კანტორა ჰქონდეს, საამისო შესაძლებლობანი დიდიხანია არსებობს. მაგრამ ამ შესაძლებლობათა გამოყენებაზე არ ფიქრობენ.

დიდმუხაში მოჰყავთ პურეული, სიმინდი, შაქრის ჭარხალი. კოლმეურნეობას აქვს ხეხილის ბაღები, ვენახი. მეცხოველეობის ფერმები ასობით სულ პირუტყვს ითვლიან. მოწინავე კოლმეურნეები გამოიმუშავებულ შრომადღეებზე უხვად იღებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ შეძლებულად და კულტურულად მოაწყონ თავიანთი ცხოვრება.

დიდმუხელთა სურვილია, რომ მათს კოლმეურნეობას შესაფერი კანტორა ჰქონდეს.

ზნაურის რაიონში სოფელ დიდმუხის საკოლმეურნეო კანტორის მაგალითი გამონაკლისი როდია. საკოლმეურნეო კანტორების კეთილმოწყობაზე არ ზრუნავენ სოფელ შინდისის, ბეშპარის, ნაბაყების და სხვა კოლმეურნეობათა გამგეობები.

კანტორაში ხშირად იკრიბებიან კოლმეურნეები, მსჯელობენ კოლმეურნეობის ძლიერების შემდგომ ზრდაზე. კანტორა სოფლის საკოლმეურნეო სისხლსავსე ცხოვრების შტაბია. იგი თუნდაც სადაც, მაგრამ სუფთად და კულტურულად უნდა იყოს მოწყობილი.

ვ. გელაშვილი
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

სოციალისტური შრომის გმირები



ი. პ. ძვინიკაძე
ორჯონიკიძის რაიონის ლაშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 97,2 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ე. ა. თხელიძე
ორჯონიკიძის რაიონის ლაშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 100,1 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

გ. ნ. კაკალაშვილი
გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 103 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ი. ა. ხაჩიშვილი
გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 105,2 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ვ. ი. ცერცვაძე
ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის მთავარი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებას უზრუნველყოფისათვის.

ვ. ს. გარუჩავა
მაიაკოვსკის რაიონის მაიაკოვსკის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 109,5 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

აღგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

ყირიმში ციტრუსების ბაღი იქნება

ამ რუბრიკით გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ 28 სექტემბრის ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილია საინტერესო მასალები. სარედაქციო წერილში ვკითხულობთ:

„ციტრუსების, ეკალიპტებისა და სხვა კულტურების გავრცელებისათვის ყირიმის ოლქის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაუღალავად იბრძვიან. მიმდინარე წლის გაზაფხულზე აქ დაირგო 103 ათასი ძირი ციტრუსი და 48 ათასი ძირი ეკალიპტი. კარგი მოვლის შედეგად ნარგავთა 70 პროცენტმა უკვე გაიხარა“.

როგორც ცნობილია, აფხაზეთი შეფობას უწევს ყირიმელ მეციტრუსეებს. აფხაზეთიდან გაგზავნილია 50 ათას ძირზე მეტი ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინისა და ეკალიპტის ნერგი. ამ დღეებში აფხაზეთს ეწვია ყირიმის პარტიულ და სამეურნეო მუშაკთა ჯგუფი. გაზეთი ამასთან დაკავშირებით ბეჭდავს საკავშირო კ. პ. (ბ) ალუშტის რაიკომის მდივნის ამხ. ი. მაქსიმოვის, ყირიმის ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მეხილეობის განყოფილების უფროსის ამხ. გ. იოფეს წერილებს.

ყირიმელი ამხანაგები თავიანთ წერილებში მოგვითხრობენ, თუ რა დახმარება გაუწია მათ აფხაზეთმა ციტრუსების გავრცელების საქმეში და როგორ მუშაობენ ისინი ამ კულტურების ფართოდ დანერგვისა და გავრცელებისათვის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

„გულახდილად უნდა ითქვას, — მოგვითხრობს თავის წერილში ამხ. ი. მაქსიმოვი,— რომ ამ კულტურების მოვლა-პატრონობის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ აფხაზეთის მეციტრუსეები. ისინი გვასწავლიან, თუ როგორ უნდა მოვუაროთ ტრანშეებსა და გრუნტში გაშენებულ ნარგავებს, როდის არის საჭირო შეწამლვა, ნიადაგის გაფხვიერება და სხვა სამუშაოები... მომავალი წლის გაზაფხულზე რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაირგება 30 ათასი ძირი ლიმონი და ფორთოხალი. ნიადაგის მომზადების საქმე უკვე შეუდგნენ“.

ამ მასალების დაბეჭდვით გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ გვიჩვენა ყირიმისა და აფხაზეთის მშრომელთა სტალინური მეგობრობა, მათი ბრძოლა საბჭოთა სუბტროპიკების საზღვრის გაფართოებისათვის.

საგულისხმო თაოსნობა

საგულისხმო თაოსნობა გამოიჩინეს სოფელ სუჯუნის (აბაშის რაიონი) ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მათ მოწოდებით მიმართეს რაიონის კოლმეურნეობებს ფართოდ გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლების მთლიანი რადიოფიკაციისათვის.

სუჯუნელთა მიმართვა დაბეჭდილია აბაშის რაიონული გაზეთის „საბჭოთა სოფელის“ 27 სექტემბრის ნომერში. მიმართვაში ნათქვამია:

„რადიო კომუნიზმის იდეების პროპაგანდის მძლავრი საშუალებაა. სოფლად კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მივცეთ რადიო ყოველ კოლმეურნეობას, ყოველი კოლმეურნის ოჯახს... ჩვენ გადავწყვიტეთ მომდინარე წელს მთლიანად დავამთავროთ სოფლის რადიოფიკაცია, ამ საქმეს მივცეთ სახალხო მშენებლობის ხასიათი... ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ გავიუვანოთ რადიოსატრანსლაციო ქსელი 8 კილომეტრ მანძილზე და მოვაწყოთ რადიოწერტი 200 კოლმეურნის ოჯახში“.

ამავე საკითხს მიუძღვნა რაიონულმა გაზეთმა მოწინავე წერილი.

„სოფლების მთლიანი რადიოფიკაციის საქმეში, — ვკითხულობთ მოწინავე წერილში,— წელს ჩვენს რაიონში დიდი სამუშაოებია შესასრულებელი. მარანში უნდა მოეწყოს 500-ვატიანი რადიოკვანძი, რაც უზრუნველყოფს მარნის, პირველი მაისის და კოლობანის 10 კოლმეურნეობის რადიოფიცირებას. 32 კილომეტრზე გაყვანილ უნდა იქნას სატრანსლაციო ხაზი, დამატებით უნდა მოეწყოს 780 რადიოწერტი“.

ამასთან ერთად გაზეთი რაიონის დანარჩენ კოლმეურნეობებს მოუწოდებს—მიბაძონ სუჯუნელთა ამ შესანიშნავ თაოსნობას.

სუჯუნელ კოლმეურნეთა თაოსნობა მისაბაძია.

ართველი ქალები. ყვარლის რაიონში მასობრივად მიმდინარეობს ყურძნის მოსავლის აღება. სურათზე: ართველი სოფელ შილდის კოლმეურნეობა „მესვეურში“.

ფოტო ი. ტორისა.

რა გვიჩვენა ართველის პირველმა დღეებმა

გურჯაანელმა მევენახეებმა შარშან ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს. გურჯაანელთა შრომა დაფასდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 20 მოწინავე მევენახეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო 260 კოლმეურნე ორდენებითა და მედლებით არის დაჯილდოებული.

გურჯაანელები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. მიმდინარე წლის აპრილში მათ ჰექტარზე საშუალოდ 45 ცენტნერი ყურძნის მიღება იკისრეს და მოწოდებით მიმართეს საქართველოს მევენახეებს მოეწყოთ სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის უხვი მოსავლის მოსაყვანად.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ვენახებში რთველი გაჩაღდა. ყურძნით დატვირთული ავტომანქანები და ურმები განუწყვეტელ ნაკადად მიედინებიან დამამზადებელი პუნქტებისაკენ. რთველის პირველი დღეების შედეგები ცხადყოფენ, რომ ასეთი ბარაქიანი შემოდგომა ჯერ არ ყოფილა.

სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“ (თავმჯდომარე გიორგი გველუკაშვილი) 76 ჰექტარი ვენახი აქვს. იგი სასიამოვნო სანახავია, მტევნების სიუხვისაგან ვაზები წელში მოხრილა. 200-ზე მეტი კოლმეურნე შეუდგა თავიანთი ნაკვთების მოწევას. პირველი დღის შედეგები საამაყოა. სოციალისტური შრომის გმირის გრიგოლ კაკალაშვილის ბრიგადის მერგოლურმა ქულა სომხიშვილმა ერთ ჰექტარ ვენახში 155 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ამ რგოლის წევრმა ვარო ტარიელაშვილმა მისთვის მიჩენილ 0,4 ჰექტარ ვენახში 65 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. ანდრო ოგანოვმა ერთ ჰექტარ ვენახში 111 ცენტნერი ყურძენი მოიწია, მერგოლურმა გრიგოლ მატიჩაშვილმა 0,54 ჰექტარზე 58 ცენტნერი. კოლმეურნეობა შეუდგა სახელმწიფო ვალდებულების შესრულებას. გეგმით 1.800 ცენტნერი ყურძენი უნდა ჩააბარონ, ფაქტიურად 2.000 ცენტნერზე მეტს ჩააბარებენ.

ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვლადიმერ ოსოშვილი) გასულ წელს ჰექტარზე საშუალოდ 79 ცენტნერი ყურძენი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ პირველად მცირემოსავლიანი ვენახების კრეფას შეუდგნენ, მერგოლურ იოსებ დათუაშვილისთვის მიჩენილ 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 110 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ასეთივე დიდ მოსავალს იღებს მერგოლური სერგო მირველაშვილი.

რთველის პირველ დღეებში ნაკლოვანებაც გამოვლინდა. გურჯაანის ღვინის ქარხანა (დირექტორი გ. შავლიაშვილი, უფროსი მეღვინე პ. კიკვიძე) მოუმზადებელი შეხვდა სეზონს. ყურძნის მიღება-გადამუშავებას ძალიან ნელი ტემპით აწარმოებენ. ყურძნით დატვირთული ასობით ავტომანქანა და ურემი საათობით დგას ქარხნის ეზოსთან. გურჯაანის ოქტომბრის ოვოლუციის სახელობის კოლმეურნეობის მიერ დილის 10 საათზე მიტანილი 6 ურემი ყურძენი დღის ორ საათზეც არ იყო მიღებული. კოლმეურნე სანდრო ოდიშელიძე, რომელმაც დილის 9 საათზე მიიტანა ყურძენი, დღის 3 საათამდე ალოდინეს. ქარხანამ 3 ოქტომბერს 150 ტონის ნაცვლად 50 ტონაზე მეტი ყურძენი ვერ გადაამუშავა. ასეთივე მდგომარეობა იყო 4 ოქტომბერსაც.

ყურძნის მიღება-გადამუშავებას აჭიანურებენ აგრეთვე ველისციხის დამამზადებელ პუნქტებშიც. პირველ პუნქტში, სადაც მეღვინედ ვალერიან გოგოლაშვილი მუშაობს, 2 ოქტომბერს ყურძნის გადამუშავებაზე 6 კაცის ნაცვლად ორი მუშაობდა. ორი საწური მანქანის ნაცვლად ერთს ამუშავებდნენ. 3 ოქტომბერს კოლმეურნე გიორგი კარდენახიშვილი, რომელმაც 2 საათზე მიიტანა ყურძენი, საღამოს 5 საათამდე რიგში იდგა. ასეთივე მდგომარეობა იყო 4 და 5 ოქტომბერსაც.

ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა იქნას ლიკვიდირებული. საჭიროა სამტრესტის გურჯაანის ქარხანათა სამმართველომ ისე მოაწყოს მუშაობა, რომ ადგილი არ ექნეს ყურძნის მიღება-გადამუშავების დაგვიანებას.

„კომუნისტის“ გამსვლელი რედაქცია გურჯაანის რაიონში

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წიგნი იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაზე

დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადოებრივი მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიასთან. ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად იგი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე დაუღალავად იბრძოდა ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით დიდია იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლებისათვის ბრძოლის საქმეში. იაკობ გოგებაშვილი იყო არა მარტო ქართული პედაგოგიკის გამოჩენილი თეორეტიკოსი, არამედ უდიდესი პრაქტიკოსი მოღვაწეც. ბავშვის სულიერი სამყაროს ნამდვილი მესაიდუმლე, დიდი რუსი პედაგოგის უშინსკის პროგრესულ პედაგოგიკურ იდეათა განხორციელებისათვის თავდადებული მებრძოლი.

უშინსკის ახალმა პედაგოგიკურმა მოძღვრებამ ფართო გასაქანი მისცა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებით ერუდიციას. სასკოლო სახელმძღვანელოების „ბუნების კარისა“ და „დედა ენის“ ავტორი სულ მალე გახდა პოპულარულ საბავშვო მწერლად და მთელი ქართველი ხალხის საყვარელ ადამიანად. გოგებაშვილის სადა, ხალხურ მოტივებსა და განწყობილებებზე აგებული ლრმაშინაარსიანი მოთხრობები და ლექსები, ისტორიული ლეგენდები და ზღაპრების ცოცხალი სურათები დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენდნენ ბავშვებზე, აჩვევდნენ მათ შრომას, უნერგავდნენ სამშობლოსადმი სიყვარულის უკეთილშობილეს გრძნობას.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის შესასწავლად სერიოზული მუშაობაა ჩატარებული. მაგრამ მის პედაგოგიკურ მოძღვრებასთან შედარებით დღემდე მაინც არაა საკმაოდ იყო გამუქებული ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება, მისი სოციალურ-ესთეტიკური შეხედულებანი საბავშვო ლიტერატურაზე, მისი როლი და მნიშვნელობა ქართული საბავშვო ლიტერატურის შექმნისა და განვითარების ისტორიაში.

პროფესორ გ. თავზიშვილის წიგნი „იაკობ გოგებაშვილი“*) მიზნად ისახავს შეავსოს ეს ხარვეზი გოგებაშვილის მემკვიდრეობის შესწავლაში და მეცნიერულ-პოპულარული ენით გააცნოს მკითხველებს ამ დიდი ჰუმანისტისა და მოაზროვნის ლიტერატურული იდეები, მისი საბავშვო ნაწარმოებების უდიდესი შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

იაკობ გოგებაშვილი არის პირველი ქართველი საბავშვო მწერალი, ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელი, მისი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების მეცნიერული დამუშავებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. სწორედ ამით აიხსნება, რომ პროფესორი გ. თავზიშვილი თავის შრომაში დიდ ადგილს უთმობს გოგებაშვილის იმ სოციალურ-პოლიტიკურ და პედაგოგიურ იდეათა გაშუქებას, რომელთა უშუალო ანარეკლს წარმოადგენენ მისი ლრმა ემოციურობით აღსავსე მხატვრული ქმნილებანი.

იაკობ გოგებაშვილის მსოფლმხედველობა, როგორც ავტორი აღნიშნავს, „ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იანი წლების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გავლენით“. „მგზავრის წერილებში“ მოხევის პირით ილია ჭავჭავაძის მიერ რევოლუციური პათოსით გამოხატული ეროვნული თავისუფლების იდეა ჩაუქრობელ ნაღვერდლად ელვარებდა ქართველი ხალხის გულში. „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეცუთვნოდეს. ეს იყო დიდი ლოზუნგი ბრძოლისა და მოქმედებისა შე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მთელი მოწინავე საქართველოსი, ამ ლოზუნგით ზრდილა და ავაქაცებდა იაკობ გოგებაშვილი ქართველ ახალგაზრდობას, მას შეასისხლა თავისი „დედა ენა“ და ამით შეალო მან საქართველოს ბუნების კარი“.

ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედების უდიდესი რეზონანსი სწორედ ამ პროგრესული მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს.

წიგნის ავტორი გვაცნობს, თუ რა დიდი დაკვირვებით, სიფრთხილით, საკითხის ყოველმხრივი შესწავლითა და პასუხისმგებლობით ამუშავებდა ი. გოგებაშვილი ბავშვებისათვის საინტერესო თვითეულ დიდაქტიკურ მასალას, მოთხრობას, ლექსს, რომლითაც ასე მდიდარია მისი „ბუნების კარი“ და „დედა ენა“. ყველა მის ნაწარმოებში ჩვენ გვხიბლავს ენის სიხალასე და ხალხურობა, აზრის ცხოველმყოფელობა და სიღრმე, სახეების სურათოვნება და სიცხადე. საბავშვო ნაწარმოები, გოგებაშვილის აზრით, მხოლოდ მაშინ აღწევს თავის მიზანს, როდესაც იგი „ადვილი, ფრიად ადვილი შესათვისებელია ბავშვისათვის, როგორც შინაარსით, ისე ფორმით (ი. გოგებაშვილი, „რჩეული ნაწერები“, მე-2 ტომი, გვ. 185). აქედან ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, ბავშვის სულიერი სამყაროს, მისი მრავალფეროვანი ბუნების ღრმად შეცნობა — აი, რა მოეთხოვება უმთავრესად თვითეულ საბავშვო ნაწარმოებს, საბავშვო მწერალს. ასეთია ი. გოგებაშვილის ძირითადი პრინციპული მოთხოვნა, რასაც იგი საბავშვო მწერლობას უყენებდა საერთოდ.

პროფესორი გ. თავზიშვილი თავის წიგნში სამართლიანად უკავშირებს გოგებაშვილის ესთეტიკური შემოქმედების იდეურ-თემატიკურ ანალიზს მის პედაგოგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ იდეებს. ამ თვალსაზრისით ავტორის მიერ გარჩეულია გოგებაშვილის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, მათ შორის ისეთი ქმნილებანი, როგორიცაა „ასპინძის ომი“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, „ბავშვნი რა ქმნა“, „თავდადებული ქართველნი“ და სხვ. ეს ნაწარმოებნი დღესაც უდიდესი სიყვარულით სარგებლებენ ჩვენს ბავშვებში, აკოცკლებენ მათ ცნობიერებაში წარსულის შავბნელ სურათებს, უნერგავენ სამშობლოსათვის თავდადების იდეას, ქვეთილშობილურ გრძნობებსა და თვისებებს.

პროფესორ გ. თავზიშვილის წიგნს უეჭველად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ი. გოგებაშვილის მრავალფეროვანი მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

რამდენიმე შენიშვნა: წიგნის უკანასკნელ ფურცელზე, სადაც ავტორი არკვევს გოგებაშვილის, როგორც პირველი საბავშვო მწერლის, როლსა და ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში და ცხადყოფს მის უდიდეს დამსახურებას ქართული საბავშვო ლიტერატურის შექმნის საქმეში, ავი წერს: „ეს იმას ნიშნავს, თითქოს იაკობ გოგებაშვილამდე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ბავშვთათვის არაფერი იწერებოდა. არა, ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს საბავშვო მწერლობა, როგორც სპეციალური ლიტერატურული მიმდინარეობა და გარკვეული მოღვაწეობის სფერო“. (გვ. 93).

აქ, ჩვენი აზრით, უყურადღებობით გამოწვეულ ერთგვარ უხერხულობასთან გვაქვს საქმე. საბავშვო მწერლობა არ არის და არც შეიძლება იყოს ლიტერატურული მიმდინარეობა, ის არის მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკური დარგი, სპეციფიკური სფერო, რომელიც ეკუთვნის გარკვეულ ლიტერატურულ მიმდინარეობას, მიმართულებას, სტილს.

აკ. თოფურია

*) გ. თავზიშვილი—„იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება“, საბჭოთა მწერალი, 1949 წ.

ჩვენ გვწერენ

სამართლიანი უკმაყოფილება

თბილისიდან თელავისა და წნორის-წყლისაკენ მიმავალ სამგზავრო მატარებლის შემადგენლობაში რამდენიმე საზაფხულო ვაგონია, რითაც ახლა ძნელია მგზავრობა, რადგან ღამღამობით უკვე საგრძნობლად ცივა. ამის გამო აღნიშნული ვაგონებით თითქმის არავინ მგზავრობს, რაც იწვევს დანარჩენი ვაგონების ზედმეტად დატვირთვას მგზავრებით. ეს მგზავრების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ს. პავლიაშვილი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ჯუის გაჩეხისათვის

ამას წინათ რედაქციამ ტყიბულის რაიონიდან მიიღო სოფლკორის წერილი, რომლითაც იგი გვატყობინებდა, რომ გელათის ტყის მცველი ვ. კენჭაძე ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას. ტყეს, დაცვის ნაცვლად თვითონ ჩეხავს და ანადგურებს, დამზადებულ შეშასა და მასალას ყიდის და აღებულ თანხებს ისაკუთრებს.

როგორც ტყიბულის რაიონის პროკურორი ამხ. ცირეკიძე გვატყობინებს, ვ. კენჭაძის მიმართ წერილში ჩამოთვლილი ბრალდებები მთლიანად დადასტურდა. ბოროტმოქმედი კენჭაძე ტყის გაჩეხისათვის მიცემულია პასუხისგებაში.

ვაზისეული

I.

ხანისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ბილიკს ღიღინით მიჰყვება ალექსანდრე.

მას კვალდაკვალ მისდევს თორმეტიოდე წლის ვაჟი.

თქორავს.

ალექსანდრე ხანდახან შეაშრიალებს ჩხას, გახედავს და ითვლის მტევნებს: თორმეტი. ცამეტი. თოთხმეტი...

და პატარა ბიჭიც ასევე.

ამ ღრუბლიანში ხოჭოსფერი გადაჭკერია შავი ყურძნის მარცვალს.

სახლს მიუახლოვდა. ხმა შეიმაღლა. შვილმა გაუსწრო და ჭიშკარი გააღო. ალექსანდრემ ფრთხილად გაატარა ჩხა ვიწროდგალებულ ჭიშკარში, რაღაც განსაკუთრებული თავმოწონებით გაარა ეზო, დინჯად აიარა ოდა-სახლის კიბე და აივნის რიკულებიან სვეტზე მირჯობილ ლურსმანზე ჩამოჰკიდა ჩხა.

მეორე სვეტზე თავისი ჩხა ჩამოჰკიდა შვილმა და ახლა ცხადად დაინახა, რომ მამისეული ჩხა გაცილებით დიდი იყო, უფრო მჭიდროდ ესხა მტევნები, ამასთან — სრული, ხშირმარცვლიანი. ეწყინა: ვენახიდან სახლამდე ძვირფასი განძივით მოჰქონდა ეს ჩხა და მთელ გზაზე არც დიდი და არც მისი ტოლი არავინ შეჰხვედრია, რომ ენახათ—თუ როგორი მტევნები დაისხა და დაამწიფა ამ პატარას მაერ მოვლილმა ვაზმა. გზაში ემძიმებოდა მისი ტარება, ხოლო ახლა სვეტზე რომ დაჰკიდა, მცირედ ეჩვენა. კი, პატარა იყო მამისეულ ჩხასთან შედარებით; პატარა ბიჭმა დარცხვენით ჩაიარა კიბე, გაუჩინარდა.

ბაბური არ ისმოდა ეზოსა და სახლში.

მესერზე მიბმული ხბოც გატრუნულიყო. მოლზე იწვა. არ იცოხნებოდა.

ღია იყო სამზადის კარი, შუბლთეთრი ძაღლი გალურსული იდგა კართან. ეს პატარა მურია, როგორც კი დალანდავდა პატრონს, კისრის ტეხით მიეჭრებოდა ხოლმე, აეტატებოდა, წინ გაეჭრებოდა და მერე ულოდნელად გამოიქროლებდა ისევ უკან, წკავწკავებდა და ეალერსებოდა. ახლა ხმა არ გაიღო მურიამ, მიხვდა პატრონი — სამზადი სახლის მეთვალყურედ დაყენებია დიასახლისს და როგორც ერთგული დარაჯი, ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან;

ხმისგამცემი არავინ იყო სახლში და თავისთავს გაეხმიანა სახლის პატრონი:

— კიდევ ათი დღე მშრალი ამინდი და მორჩა — მწიფობამოკიდებულ ყურძენს მეტი არ უნდა! სრული ათი დღე...

გაიარ-გამოიარა ბივანზე, დაღლილობა იგრძნო, ოთახში შევიდა და ტახტზე მიწვა.

როცა გამოეღვიძა, საღამო იყო მოტანებული. აივანზე დედა და შვილი ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. ჩანდა, საოჯახო საქმე მოთავებული ჰქონდა დედას; ხვალინდელ გაკვეთილს ეკითხებოდა შვილს, უხსნიდა, ძნელგასაგებ სიტყვებს განუმარტავდა.

...როცა აივანზე გამოვიდა გამოძინებული ალექსანდრე, თვალს არ დაუჯერა და მარცხენა ხელით მაგრად მოიფშვნიტა, ხედავს—სამი ჩხა ჰკიდია სვეტებზე და სწორედ მესამე ჩხა, რომელიც მისმა მეუღლემ მოიტანა, იმ ორზე გაცილებით დიდია და მარცვალიც გასაოცრად სრული ეჩვენა... არ გამოაშკარავა გაოცება, ცოლს მიუბრუნდა და ბოხი ხმით ჰკითხა:

— ადამიანო, გვაქვს რამე ვახშმად?

ცოლს ხმა არ გაუცია და ახლა ალექსანდრეს თავად ეჩვენა ზედმეტად და უადგილოდ ასეთი შეკითხვა... როდის იყო, რომ უვახშმოდ დარჩენილა! მართალია, მერგოლურია მისი ცოლი და კოლმეურნეობაში გამოულეველი სამუშაო აქვს, მაგრამ ოჯახის საქმე დავიწყებული როდი აქვს და განა ოდესმე შეუჩიენია ალექსანდრესათვის, რომ კოლმეურნეობაში მუშაობას და ოჯახის საქმეს ორივეს ერთად ვერ გაუწვდებიო!..

დინჯად ადგა დედაკაცი, სუფრის გაშლას შეუდგა და ლამპა განგებ ისეთ ადგილზე დადგა, რომ მის მიერ მოტანილი ჩხა გამორჩეულად გამოჩენილიყო.

— ბა, როგორაა, ბატონო ალექსანდრე, წელს თქვენი ვენახი? — გამომწვევად შეეკითხა ცოლი და ღიმმორეულმა ჩხაზე მიუთითა...

უყვართ ოჯახში ვაზის გამო ბაასი და ეს ბუნებრივიცაა, —

ზემოიმერელი გლეხკაცის ოჯახი უპირველესად ვაზზეა დაფუძნებული:

ოდას ამშენებს ვაზი და ძროხას ყიდულობს,

ელსადგურებს აგებს მდინარეებზე,

სკოლისათვის შეხობებს აშენებს და გზები გაჰყავს,

წიგნს, რვეულს, საწერ-კალამს ყიდულობს მოსწავლეთათვის,

ახალ შენობებს უშენებს კოლმეურნეებს, წყალსადენი გაჰყავს სოფლებში...

ალექსანდრეს ოჯახიც ვაზმა ააღორძინა. ვაზმა აიგო ეს ლამაზი ოდა-სახლი და მეწველი ძროხა შემოიყვანა შინ;

ასეთი ოჯახი მრავალია სოფელ მაიაკოვსკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, მდინარე ხანისწყალის დაფერდებულ ნაპირებზე და, სოციალისტური შრომის გმირმა მევენახე დიმიტრი ხიზანიშვილმა შეუმცდარად იცის — რომელი ჯიშის ვაზი როგორ გაიხარებს ამ ბარაქიან მიწაზე: წელს, გაისად და მერმისს „ცოლიკოურისა“ და „ძველშავის“ ახალ ნერგებს ჩაჰყრიან. ეს ორი ჯიში განსაკუთრებით ხარობს ამ კოლმეურნეობაში.

სერიდან დახედავ სოფელ მაიაკოვსკის — ვენახია ყველგან, მწვანე ვაზნარითაა მთელი სოფელი შემოფარჩუნდა. ამ ვაზნარს სამკაულივით ამკობენ ლამაზი ოდა-სახლები...

დიახ, ვაზს ისეთი მძლავრი მხრები აქვს, რომ დედაბოძად შესდგომია აქაური ოჯახებს!

II.

სოფელ მეორე სვირის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ორსართულიან შენობას აგებენ. პირველი სართული ამოყვანილია და ეს ერთი სართულიც უფრო მაღალია, ვიდრე ეს ძველი ოდა-სახლი, რომელშიც დღემდე ამ მძლავრი კოლმეურნეობის გამგეობაა მოთავსებული. ასეთივე შედარებაა სოფლის წუწინდელ ცხოვრებასა და ახლანდელს შორის. გამახსენდა კოლმეურნე ილია ხიდაშელის ნათქვამი — სვირში გლეხკაცის ცხოვრება პატარა იყო და სიმწუხარე კი—დიდი!

ახლა კი აი, ამ პატარა ტანის ყმაწვილკაცს იონა ხიდაშელს, რომელიც სამუშაოდან გამოიხმეს კოლმეურნეობის გამგეობაში, დიდი სიხარული მოაქვს თან. აქედან ვენახში არავითარი სამუშაო არაა, მაგრამ იონა ხიდაშელი მაინც ვენახში იყო; ასეა დაჩვეული ეს ყმაწვილკაცი — ადრე გაზაფხულიდან რთველის მოთავებამდე ყოველდღე უნდა შემოიაროს მისი რგოლის ვენახი და ასეთი „შემოვლა“ ოშვიათად ყოფილა უშედეგო: ხან ძირმომპალ ჭიგოს წამოაჭცევს ვაზი და მიწაზე გაიშხლართება, იონა ხიდაშელს ახალი ჭიგო აქვს მზად და ვაზს ფრთხილად ააყენებს მიწიდან; ხან ღობეა შემოტეხილი და იონა ხიდაშელს ახალი მესერი და წნელი აქვს, ღობეს გამოღობავს და ვინ მოთვლის ყოველი დღე რა სამუშაოს გამოუჩენს იონას!

როგორც კარგ დიასახლისს საქმე არ გამოელევა შინ, ასე მევენახესაც არ გამოელევა საქმე ვენახში...

იგი მსუბუქად ამოვიდა ამ დაბალი ოდა-სახლის კიბეზე, მისალმებისას ოდნავ გაიღიმა და თეთრმა კბილებმა გაიელვა; სადად და სუფთადაა ჩაცმული, ისე როგორც ახლანდელი სოფლის ახალგაზრდას აცია ხოლმე. კოლმეურნეობის მოანგარიშემ სკამი შესთავაზა, მიმოიხედა ხიდაშელმა და ხანდაზმული კოლმეურნე შენიშნა ფეზზე მდგარი, სკამს ხელი დააყოლა და მას მიაშურა... მისთვის ყველა ნაცნობი იყო აქ, გარდა ორი ადამიანისა; სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი ბრეგაძეს რაღაც წასჩურჩულა, მერე ოდნავ შეუწითლდა ხანე, უხერხულად გაეღიმა და ყველანი შინ მიგვიწვია:

— შემოდგომაა, მეგობრებო, ხილით გავისეირნოთ პირი, წავიდეთ შინ! აი, აქვე არის ჩემი სახლი, ნუ დაზარდებით! გიორგი, აბა შენ იცი, ვიდრე პაპუნა გამოჩნდება, მასპინძლები შენ და მე ვართ...

* * *

ამ ოჯახში ყურადღება მიიპყრო წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სიმრავლემ. ლენინისა და სტალინის თხზულებანი, ჩვენი საყვარელი კლასიკოსების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ტომეულებია ჩამწკრივებული თაროზე.

ოჯახში ოთხი ვაჟკაცია და ოთხივე დაწაფებულა წიგნს. გამოესაუბრეთ იონა ხიდაშელს ამ წიგნების გამო და ნახავთ როგორ თავისუფლად აზროვნობს თანამედროვე სოფლის ახალგაზრდა.

მას უყვარს შრომა და უყვარს წიგნი.

იონა ხიდაშელმა გაზეთ „კომუნისტის“ მთელი კომპლექტი მაჩვენა, სადაც გიორგი ლეონიძის პოემა და ლეო ქიაჩელის მოთხრობა იყო დაბეჭდილი; როგორც მეცნიერული ხასიათის წიგნებსა და წერილებს, ჩვენი სოფლის მეურნეობის საკითხებზე დაწერილს, ღრმა დაკვირვებითა და სიყვარულით კითხულობენ, იონა ხიდაშელი და მისი ძმები ასეთივე სიყვარულით ეწაფებიან რომანს, მოთხრობას, პოემას — ჩვენი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების მიერ შექმნილს.

ვენახში საღამომდე მუშაობდა იონა ხიდაშელი, ხოლო საღამოს კოლმეურნეობის მოზრდილთა სასწავლებელში დადიოდა და სულგანაბული უსმენდა მასწავლებლებს. მას არ გაძნელებია სწავლა, ადრევე, როგორც კი ხელიანად შეისწავლა წერა-კითხვა, ლამპის შუქზე გვიან ღამემდე კითხულობდა წიგნებს იონა ხიდაშელი.

ასე მძლავრადაა ფეხმოკიდებული ცოდნის შეძენის წყურვილი სოფლის ახალგაზრდობაში და ამის გამოა, რომ ქოხ-სამკითხველოებში, სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებში ყოველ საღამოს თავს იყრიან, ლექციების ისმენენ, დგამენ წარმოდგენებს, მართავენ მხატვრული თვითძოქმედების საღამოებს...

იონა ხიდაშელის ეზო ბაღია. აქ თანაბარი სიყვარულითაა მოვლილი ვაზი, ხეხილი, ბოსტანი და სიმინდი. ნამყენთან ერთად მაღლარიც გაუხარებიათ ძმებს და ეს ლეღვისა და კომშის ხეები იზაბელას შავ-შავი მტევნებითაა დახუნძლული, მაგრამ ოჯახის სიუხვის წყარო მაინც კოლმეურნეობაა.

კოლმეურნეობამ გააძევა სიღუხჭირე და ხელმოკლეობა მევენახე გლეხკაცის ოჯახიდან.

ამავე რაიონის სოფელ ალავერდის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში ახალ-ახალი ორსართულიანი ოდა-სახლებია წამოჭიმული. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ჭანკვეტაძემ მრავალი კოლმეურნე დაგვიახლა, რომელთაც შარშანწინ, შარშან და წელს ჩინებული საცხოვრებელი სახლები აიშენეს—და ეს სახლები კოლმეურნეებმა ვენახებიდან მიღებული მოსავლით აიშენეს. აი, რატომ უყვარს ასე საგულდაგულოდ გიორგი და გრიგოლ კვანტრიშვილები, სიმონ და ევგენი ჭანკვეტაძეები, კარლო სირაძე და ბედია კვანტრიშვილი.

ამ პატარა კოლმეურნეობაში რვა სოციალისტური შრომის გმირია!

ნაბიჯ-ნაბიჯ შემოგვატარა თავისი ფართობი ბედია კვანტრიშვილმა. როცა ვენახიდან გამოვედით და ჩრდილს შევაფარეთ თავი, სახელმოხვეჭილმა მევენახემ ისევ თავიდან ბოლომდე შეათვალიერა ფართობი და მერე დარწმუნებით თქვა:

— არა, შარშანაც გასაოცრად ესხა, მაგრამ ასეთი მაინც არ იყო! წლევანდელი მტევანი უფრო სრულია...

ნამდვილია ეს ამბავი. კოლმეურნეობას უკვე მოეკრიფა წელს საადრიო ჯიშის შამშახური და იმ ნაკვეთზე, სადაც შარშან ჩვიდმეტი ცენტნერი „პინო“ მოიჭირნახულა, წელს ორმოცდაათი ცენტნერი მიუღია.

წლითიწლობით ზრდი

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ შედგა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოღებულ იქნა მოწოდება ფრანგებისადმი.

იმის შედეგად, ნათქვამია მოწოდებაში, რომ განუწყვეტლივ იზრდება ხალხის მასების ერთიანობა თავიანთი მოთხოვნებისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში, მთავრობა დაქმხო. ამრიგად, დაწყებული მთავრობის კრიზისი უშუალოდ დაკავშირებულია იმ დამღუპველი პოლიტიკის შედეგებთან, რომელიც ორი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა და რომელიც ეყრდნობოდა მარშალის დეგემას — ამერიკული იმპერიალისტების მიერ, იმის გამჩაღებლების მიერ საფრანგეთის დამონების გეგმას.

ეს პოლიტიკა, რომელიც გამიზნული იყო ომისათვის, რომ თუნდაც ოდნავ გაეუმჯობესებინა მშრომელთა ბედი და უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის აუცილებელი აღდგენა, არამედ მიმართული იყო მხოლოდ ხელფასით ცხოვრებ ადამიანთა, აგრეთვე იმ მდაბიო ბალხის საარსებო დონის აუტანელი შემცირებისაკენ, რომელიც ეკონომიური მარაზმისა და მზარდი უმუშევრობის მსხვერპლი გახდა.

სიღატაკის ამ პოლიტიკამ, რომელიც დაგვირგვინდა ფრანკის დევალვაციით და გადასახადთა წვრილი და საშუალო გადამხდელებისათვის უზომოდ მძიმე საგადასახადო ტვირთით, გამოიწვევა სამხედრო ხარჯების გადიდება (1950 წლისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 800 მილიარდი ფრანკი), რაც თავს მოხვეულია ატლანტიკის ხელშეკრულებით — იმპერიალისტთა ხელშეკრულებით, და რაც მთავრობა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომისათვის მზადებისაკენ, აგრეთვე ვიეტნამში დაპატიმრებით ომის განგრძობისაკენ.

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები, რომელზედაც მძიმე პასუხისმგებლობა აკისრიათ 1947 წლის მაისში მთავრობიდან კომუნისტი მინისტრების განდევნისათვის, კვლავ გაბედნენ სიღატაკის ამ პოლიტიკის გატარების მხარეზე, მუშათა კლასის გათიშვის, ანტიდემოკრატიული რეპრესიებისა და ომის მხარეზე. ისინი გადაიქცნენ ამერიკელი იმპერიალისტების პოლიტიკის, რეაქციის პოლიტიკის მორჩილ შემსრულებლად და სოციალიზმის უბეროტეს მტრებად.

ერთიანობის დიადმა მოძრაობამ ყველა მიმართულების მშრომელთა ერთობლივ ბრძოლაში დაამხო კეის, შუმანის, რამადიეს, მოკასა და დეგოლელ კლიდიუს-პეტის მთავრობა.

ოფიციალურ წრეებში სურთ შეცვალონ მთავრობის შემადგენლობა და განაგრძონ წინანდელი პოლიტიკა. ხალხს კი სურს გადაჭრით შეიცვალოს პოლიტიკა ომისათვის, რომ საფრანგეთს მიეცეს ახალი მიმართულება, იმისათვის, რომ განხორციელდეს ეროვნული ხსნის, ეკონომიური აღმავლობის, დემოკრატიისა და მშვიდობის პროგრამა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ მოსაწონებლად წარუდგინა მთელ ჩვენს ქვეყანას შემდეგი პუნქტებით:

1. უარის თქმა მარშალის გეგმაზე, ატლანტიკის პაქტსა და მათთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაზე. საფრანგეთის აქტიური მონაწილეობა ყველა ღონისძიებაში, რომელიც მიმართულია სამართლიანი დემოკრატიული და მტკიცე მშვიდობის დამყარებისაკენ, რომელიც დაეყრდნობა სამოკავშირეთაშორისო შეთანხმებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პატივისცემას. დადასტურება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კავშირისა, რომელიც მშვიდობისა და საფრანგეთის უშიშროების გარანტიას წარმოადგენს.

2. ხელთლა ატომური იარაღის აკრძალვისა და საფრანგეთისა, სსრ კავშირისა, ამერიკის შეერთებულ შტატებისა, ინგლისისა და ჩინეთის შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის.

3. გერმანიის დენაციფიკაციისა და დემილიტარიზაციის შესახებ პოტსდამის შეთანხმების განხორციელება, იმ შეთანხმებათა გაბათილება, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის მთავრობის შექმნას. გერმანიის მიმართ ჩვენი უშიშროების ინტერესთა შესაბამისი პოლიტიკის წარმოება. რეპარაციათა უფლების შენარჩუნება. გერმანიაში, ყველა დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე ძალებისათვის მხარის დაჭერა.

4. ვიეტნამში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და კონსტიტუციის პატივისცემა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე ჩვენს ზღვისგაღმა ტერიტორიებზე.

5. მშრომელთა ხელფასის გადიდება და ხელფასის მოძრავი სკალის გამოყენება, ავანსის დაუყოვნებლივ გაცემა იმ ღონისძიებათა რეალიზაციამდე. კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემისა და ხელფასის გარანტირებული მინიმუმის კვლავ შემოღება; ომის ყოფილ მონაწილეთა, ყოფილ სამხედრო ტყვეთა, უმუშევართა, სტიპენდიით უზრუნველებით დაზარალებულ პირთა და ღრმად მოხუცებულ მშრომელთა კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ჩვენი მრეწველობის დაცვა ამერიკის იმპერიალიზმის ხელყოფისა და მუქარისაგან.

6. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია ისეთი პოლიტიკის წარმოების გზით, რომელიც დაემყარება მტკიცე და მომგებიან ფასებს იმ პირობით, რომ დაცულ იქნას ჩვენი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები ატლანტიკის ოკეანისგაღმელ და სხვა მსხვილ ექსპორტიორთა კონკურენციისაგან.

7. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა.

8. პარლამენტის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მიუღებლად ფრანკის ახალი დევალვაციის განხორციელების აკრძალვა. მტკიცე საბიუჯეტო წონასწორობა. სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება. საგადასახადო სისტემის დემოკრატიული რეფორმა, რომელიც უწინარეს ყოვლისა მიმართული იქნება მსხვილ სამრეწველო და საფინანსო კომპანიების წინააღმდეგ და რომელიც საგადასახადო ტვირთს შეუმსუბუქებს მშრომელებს, საშუალო ფენებს.

9. განმტკიცება დემოკრატიულ წინააღმდეგობათა და, კერძოდ, სოციალური დაზღვევის სისტემისა, რომელსაც საფრთხე მოელის ფრანგი და ამერიკელი მსხვილი კაპიტალისტებისაგან.

10. რესპუბლიკური კანონიერებისა და კონსტიტუციურ თავისუფლებათა დაცვა (გაფიცვის უფლება, სიტყვის, კრების. ორგანიზაციისა და მანიფესტაციის თავისუფლება). გაუქმება დე გოლის 1945 წლის 14 აგვისტოს კანონისა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ მთქალაქეთ თვითნებურად ატყარონ სამოქალაქო უფლებანი. უარის თქმა კომუნისტი დეპუტატების ყოველგვარ დევნაზე, რაც ხდება რესპუბლიკური კანონიერების წესების დარღვევით. დაშლა გასამხედროებული ჯგუფებისა, რომლებიც „ფრანგი ხალხის გაერთიანებამ“ (დე გოლის პარტია. რედ.) მოაწყო სამოქალაქო ომისათვის.

11. გადასინჯვა სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა, რომელნიც მოღალატეთა დაუსჯელობას უზრუნველყოფენ. განთავისუფლება და რეაბილიტაცია წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეებისა, მშვიდობის დაცვისათვის გამართული გაფიცვებისა და დემონსტრაციების მონაწილეებისა, რომლებიც უკანონოდ ისჯებიან სპეციალურ სასამართლოებში და სასამართლო დევნას განიცდიან.

ფრანგებო! კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ იგი მზად არის იკისროს მთელი პასუხისმგებლობა ამ პროგრამის განხორციელებისათვის. იგი მოუწოდებს მუშათა კლასს, მთელ მშრომელ მოსახლეობას განურჩევლად რწმენისა და პარტიული კუთვნილებისა, განავითარონ და განამტკიცონ კავშირი და ებრძოლონ დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის შექმნისათვის, რომელიც საქმით განახორციელებს ძირითად რესპუბლიკურ ღირებულებებს: ხალხის მთავრობა, მთავრობა ხალხისათვის, მთავრობა, რომელიც ხალხს ეყრდნობა.

გაემარჯოს ფრანგი ხალხის კავშირს ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრესის, თავისუფლებისა და მშვიდობის დროშათ!

გაუმარჯოს საფრანგეთს!

გაუმარჯოს რესპუბლიკას!

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სესიაზე

პარიზი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). 7 ოქტომბერს, პარიზის მუშათა გარეუბანში — ივრი-სიტ-სენში შედგა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი სესია. მოხსენება პოლიტიკური ვითარების შესახებ გააკეთა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მდივანმა ჟაკ დიუკლომ. მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ კრიეელ-ჭალრიმონი, ვალდეკ როშე, ტეტენ ფაუონი, რაიმონ ბოსიე, ოგიუსტ ჟილო, ამბრუაზ კრუაზი, რაიმონ გიეთო და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები.

საფრანგეთში, თქვა დიუკლომ, ფრანკის დევალვაციასთან დაკავშირებით, მწვავედ დადგა მშრომელი მასების მყიდველობითი უნარის საკითხი. მთელი იტუალობით დადგა უზომო სამხედრო ხარჯების საკითხი. მიუხედავად პარიმანის განკარგულებისა, რომელიც კრძალავს საფრანგეთის მშრომელთა ხელფასის რაიმე გადიდებას, საფრანგეთის მუშათა კლასის მძლავრმა და ფართო მოძრაობამ თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მთავრობის დაცემა გამოიწვია. განუხრელად ფართოვდება პროფკავშირული ორგანიზაციების მოქმედების ერთიანობა. უკვე მოპოვებულია მრავალი გამარჯვება. ბურჟუაზია იძულებულია აღიაროს რომ მან უკან უნდა დაიხიოს. აუცილებლად შეეცდებიან ჩაშალონ მოქმედების ეს ერთიანობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ მიღწეული იქნება სერიოზული წარმატებანი, თუ ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ მთელი ძალების ერთიანობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. დღეს მნიშვნელობა აქვს არა ადამიანების გადაყვან-გადმოყვანას მთავრობაში, არამედ მთელი პოლიტიკის შეცვლას: ამერიკისადმი საფრანგეთის დამოკიდებულების პოლიტიკას და ომისათვის მზადების პოლიტიკას ბოლო უნდა მოეღოს. დარწმუნებული არიან რა ომაში, რომ მოქმედების ერთიანობა მოამზადებს პირობებს დემოკრატიული მთავრობის შესაქმნელად, კომუნისტებმა მშრომელებს უნდა უჩვენონ ახლანდელი მძიმე მდგომარეობიდან ეს ერთადერთი გამოსავალი.

შემდეგ დიუკლომ ანალიზი გაუკეთა იმ პროგრამის 11 პუნქტს, რომელიც მან და ტორეზმა რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგინეს.

დასასრულ დიუკლომ განაცხადა, რომ „დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის, პროგრესის, თავისუფლებისა და მშვიდობის მთავრობის შექმნა ერთადერთი გადაწყვეტაა, რომელიც შეესაბამება ნაციონალურ ინტერესებს“.

კამათში გამოსულმა ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მაეებში იმ პროგრამის ფართო პროპაგანდა, რომელიც მორის ტორეზმა და ჟაკ დიუკლომ წამოაყენეს ახალი მთავრობის შესაქმნელად არა პერსპექტივაში, არამედ სწორედ ახლა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მთავრობის დაცემა გამოწვეულია ხალხის მასების ფართო მოძრაობით და კომუნისტებმა, რომელთა პოლიტიკას იზიარებენ ხალხის ფართო მასები, მთელი ძალღონე უნდა ახმარონ ამ მოძრაობის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად.

დასასრულ სესიაზე გამოვიდა კომპარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი. ტორეზი შეჩერდა მთავრობის ახლანდელი კრიზისის ძირითად მიზეზებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელ მასების მოქმედება გამსჭვალული მტკიცე გადაწყვეტილებით—აღარ შეეგუონ მარშალის გეგმის პოლიტიკის შედეგებს, ანტისაბჭოთა ომისათვის მზადების ატლანტიკის ხელშეკრულების შედეგებს. მთავრობის ეს კრიზისი, თქვა მან, ხდება ორ ბანაკს შორის. — დემოკრატიის ბანაკსა და ომის გამჩაღებელთა ბანაკს შორის ბრძოლის პირობებში იმ დროს, როცა მრავლდება დემოკრატიისა და მშვიდობის ძალების გამძლეობა.

ტორეზმა გამოთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სიხარული და მადლობა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე მაო ძედუნის დეპეშის მიღების გამო.

შემდეგ ტორეზმა განაცხადა, რომ ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში მყოფი ტიტოს გამცემლური ხროვისა და მისი აგენტების მზღვრება და დაგმობა დემოკრატიის დიდმნიშვნელოვანი წარმატებაა.

ტორეზი შეჩერდა საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზზე და ცხადყო იმპერიალისტური ბანაკის განუწყვეტელი შესუსტება, აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა კლასობრივ წინააღმდეგობათა ზრდა ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში.

ტორეზმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის ეკონომიკაზე მარშალის გეგმის გავლენის შედეგია კრიზისი, დევალვაცია და მზარდი სიღატაკე. ამის შედეგია აგრეთვე მზარდი პოლიტიკური სიძნელეები და მთავრობის ახლანდელი კრიზისი. მთავრობა დაეცა აღმავლობის გზაზე მყოფი პროგრესის ძალების ზეგავლენით.

ჩვენს ქვეყანაში, განაცხადა ტორეზმა, ფართოვდება ბრძოლა მშრომელთა კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მზარდი კლასობრივი ბრძოლის პერიოდში იზრდება და მტკიცდება მუშათა კლასისა და მშრომელი მასების კლასობრივი შეგნება. მშრომელი ხალხის გაჭირვება დაკავშირებულია მარშალის გეგმის, ატლანტიკის ხელშეკრულების შედეგებთან, ანტისაბჭოთა ომის მომზადებასთან. სამხედრო ხარჯების უზომო გადიდებასთან. ეს მიზეზები სულ უფრო ნათელი ხდება ხალხის ფართო მასებისთვის.

ტორეზი შეჩერდა ტრუმენის განცხადებაზე სსრ კავშირში ატომური აფეთქების შესახებ და თქვა:

ამ განცხადების მიზანი სავსებით ნათელია. იგი გაკეთებულია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას კრედიტების მიღება არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მარშალიზებული ქვეყნების შესათარიღებლადაც. ამპერიალისტ ავანტიურისტებს ოდნავაც არ უუღიათ ხელი თავიანთ მიზნებზე: მომზადონ ომი სახალხო კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, ჩააგდონ მსოფლიო ახალ კატასტროფაში. ამიტომ საჭიროა თავგამოდენით, მთელი ძალებით ვებრძოლოთ მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და პურისათვის. მთავრობის კრიზისი მოწმობს, თქვა მან შემდეგ, რომ ერი ეწინააღმდეგება ომის მომზადების პოლიტიკას. ერი გამოდის სიღატაკის წინააღმდეგ. საჭიროა ახლა ყველა გაერთიანდეს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს მთავრობის ახალ დაჯგუფებას იმავე პოლიტიკის განგრძობაში; საჭიროა შეიქმნას დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა. ასეთი მთავრობის ხასიათი და არსი გამოხატულია პროგრამაში, რომელიც 11 პუნქტისაგან შედგება, და რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტს გადაეცა.

ტორეზმა ცხადყო, რომ ამ პროგრამის რეალიზაცია დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა ბრძოლაზე, რომლის შედეგადაც უნდა მოხდეს ცვლილებები ყველა დარგში და მათ შორის პარლამენტის გეგმაშიც. შემდეგ მან ხაზგასმით აღნიშნა ის მძიმე პასუხისმგებლობა, რაც ეკისრებათ სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ გათიშონ შეტანონ დემოკრატიის ბანაკში, და მოუწოდა კომუნისტებს მეტი ინიციატივა გამოიჩინონ, რათა განამტკიცონ ფართო მასების მოქმედების ერთიანობა, ჩაშალონ ხალხის მტრების ხრიკები და ამით დაიჩქარონ მასების მოძრაობა პროგრესის გზით.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებაზე

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ყველა ჩეხოსლოვაკური გაზეთმა გამოაქვეყნა დაწვრილებითი ცნობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მანიფესტის ტექსტი.

გაზეთმა „რუდე პრავომ“ ანგარიში გერმანიის სახალხო საბჭოსა და დროებითი სახალხო პალატის სხდომების შესახებ მოათავსა დიდი სათაურით: „შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი პარლამენტი“.

გაზეთებმა „ლიდოვე ნოვინიმ“, „სვობოდნე სლოვომ“, „ლიდოვა დემოკრაციემ“ და სხვებმა ცნობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ პირველ გვერდზე და დიდი სათაურებით გამოაქვეყნეს.

რუმინეთი

ბუქარესტი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ.

გაზეთი „სკინტეია“ წერს: „რუმინელი ხალხი სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად საარსებოდ დაინტერესებულია ერთიანი დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფოს შექმნით, რომელიც თავისი ბუნებით საფრთხე არ იქნება მშვიდობისათვის. რუმინელი ხალხი უდიდესი კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობით მიესალმება იმას, რომ იშვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — ახალი აქტიური ფაქტორი მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის მზარდ და მძლავრ ფრონტში, რომელსაც სათავეში უდგას სოციალიზმის დიდი ქვეყანა — სსრ კავშირი“.

გულგარეთი

სოფია, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარული გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ.

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ ამ მასალებს აქვეყნებს სათაურით „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შექმნის წინ“.

გაზეთმა „იზგრევმა“ სათაურით „გერმანიის სახალხო საბჭოს სესია“ მოათავსა ცნობა გერმანიის სახალხო საბჭოს სესიისა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

ჟ. შოპენის დაბადების 139 წლისთავი

17 ოქტომბერს [illegible] პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის დაბადებიდან. საქართველოს მუსიკალური საზოგადოებრიობა დიდი ხანია ემზადება დიდი მუსიკოსის იუბილესათვის.

ჟ. შოპენის გარდაცვალების დღეს, 17 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შედგება საიუბილეო სხდომა, სხდომის შემდეგ გაიმართება კონცერტი, რომელზეც შესრულებულ იქნება შოპენის თვალსაჩინო ნაწარმოებები.

კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში ეწყობა შოპენის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნება შოპენის თხზულებათა საბჭოთა გამოცემები, შოპენის ნაწარმოებთა საუკეთესო შესრულებების და აგრეთვე იმ რუს მუსიკოსთა პორტრეტები, რომლებიც დიდი პოლონელი კომპოზიტორის შემოქმედების პროპაგანდას ეწეოდნენ რუსეთში.

ქუთაისში, სოხუმში, ზათუმში და სხვაგან მოეწყობა შოპენის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლექცია-კონცერტები.

საქავშირო შეჯიბრება მრავალჭიდში

8 და 9 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე მოეწყო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირველობაზე მრავალჭიდში — ვაჟებისათვის ათწლიდან და ქალებისათვის ხუთწლიდან.

შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა ლენინგრადის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა უკრაინის სს რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა.

პირად შეჯიბრებაში ვაჟებს შორის პირველი ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა ჟ. ვოლკოვმა (მოსკოვი, 7.173 ქულა), ქალთა შორის კი სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჩუდინამ (მოსკოვი, 4.934 ქულა). ამით ამჯ. ჩუდინამ აგრეთვე დაამყარა საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი ქალთათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრებისათვის საჭართველოს გუნდი სათანადოდ ვერ მოემზადა. ამიტომ მან შეჯიბრებაში მეშვიდე ადგილი დაიკავა.

საბჭოთა კავშირის უძლიერესი მძლეოსნები თბილისში

თბილისში იმყოფებიან საბჭოთა კავშირის უძლიერესი მძლეოსნები, რომლებიც გაღიან საწვრთნელ შეკრებას საკავშირო და მსოფლიო რეკორდების დასამყარებლად. მათ შორის არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები: ნ. ოზოლინი, ნ. კარაკულოვი, ე. სეჩენოვა, ა. კანაკი, ს. კუზნეცოვი, ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი; სპორტის ოსტატები — საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები პ. დენისენკო, ხ. ლაპი, პ. ჩეგუნი, ნ. პოპოვი და სხვ.

12, 13, 16 და 17 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდება საბჭოთა კავშირის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება საკავშირო და მსოფლიო რეკორდების გასაუმჯობესებლად.

საქავშირო შეჯიბრება ფარიკაობაში

12 ოქტომბერს თბილისის ლენინის სახელობის სტადიონის სპორტდარბაზში ეწყობა საკავშირო შეჯიბრება პირად-გუნდურ პირველობაზე ფარიკაობაში.

საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ: ზ. მეგრელიშვილი, ო. ყვანია, ა. მეიფარიანი, თ. ჭილაქაძე, რ. ახალაძე, გ. ერისთავი, ე. კმეცინსკაია, ე. კუზნეცოვა და სხვები.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

დიდი ბერლინის დემოკრატიული მაგისტრატის მოწოდება

ბერლინი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ბერლინის სახალხო სექტორის ყველა გაზეთში გამოქვეყნებულია მოწოდება დიდი ბერლინის დემოკრატიული მაგისტრატისა, რომელსაც სათავეში უდგას ფრიდრიხ ებერტი. მოწოდებაში ნათქვამია:

„ბერლინელებო! დასავლეთ გერმანიის ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკამ, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები აწარმოებენ ბონის სპასპარატული პარლამენტის მხარდაჭერით, გაადიდა საშიშროება, რომელიც გერმანიას მოელის, შექმნა ჩვენი ერისა და მისი სახელმწიფოს გათიშვის საფრთხე.

თავს იცავს რა ამ საფრთხისაგან, გერმანიის სახალხო საბჭომ ხალხის ნებით გარდაქმნა თავისი თავი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატად.

ძალაში შევიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც გერმანიის სახალხო საბჭომ მიიღო და რომელიც 1949 წლის 30 მაისს დაამტკიცა გერმანიის მესამე სახალხო კონგრესმა.

კონსტიტუციამ ნათლად განსაზღვრა ჩვენი ქალაქის სახელმწიფოებრივ-უფლებრივი მდგომარეობა. ბერლინი არ არის დასავლეთ გერმანიის სპასპარატული სახელმწიფოს ფედერალური მხარე, იგი გერმანიის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქია.

მოვუწოდებთ მოსახლეობას 1949 წლის 11 ოქტომბერს გამოფინოს შავ-წითელ-ოქროს-ფერი ალმები, მორთოს სახლები და ახალგაზრდობასთან ერთად შეკრიბოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში პრეზიდენტის მისასალმებლად.

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

საპარლამენტო არჩევნები ავსტრიაში

ვენა, 9 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ავსტრიის ყველა ფედერაციულ მხარეში მიმდინარეობს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და ადგილობრივი ლანდტაგების არჩევნები.

პროვოკაციები და ტერორისტული აქტები მემარცხენე საარჩევნო ბლოკის მომხრეთა წინააღმდეგ გრძელდებოდა 8 ოქტომბრის ღამით და თვით არჩევნების დღეს.

მთელი რიგი ქალაქებიდან და სოფლებიდან იუწყებიან, რომ ღამით მმხრთველი პარტიების მიერ სპეციალურად შექმნილი ბანდები გლეჯდნენ მემარცხენე ბლოკის პლაკატებს.

შტირიის (ინგლისური საოკუპაციო ზონა) ბევრ სოფელში დილიდან ქუჩებში დადიოდნენ მმხრთველი პარტიების მომხრეთა რიხნები და ხის კეტებით შეიარაღებული ჯგუფები.

მურის ბრეკში ავსტრიის სოციალისტური პარტიის მოძრავი ბმამხელმოლაპარაკე დანიშნული ცარიელი კონვერტების ნაცვლად აძლევდნენ კონვერტებს, რომლებშიც ჩადებული იყო „ავანტი პარტიის“ ბიულეტენები.

ვენის მე-10 რაიონში სოციალისტური პარტიის ფუნქციონერებმა ხმა მისცეს იმ ამომრჩეველთა მაგიერ, რომლებიც ღრმად მოხუცებულთა თავშესაფარში იმყოფებიან, თუმცა ეს კანონით კატეგორიულად აკრძალულია. ცალკეულ რაიონებში მმრთველი პარტიების წარმომადგენლები, დამყარებული წესის საწინააღმდეგოდ, საარჩევნო ავიტაციას უშუალოდ საარჩევნო უბნებში ეწეოდნენ.

ვენა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). 9 ოქტომბერს, 24 საათზე ავსტრიის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო გამოქვეყნება შერჩევითი ცნობებისა ცალკე რაიონებსა და დაბებში კენჭისყრის შედეგების შესახებ. აგრეთვე წინასწარი ცნობებისა ოლქების მიხედვით.

10 ოქტომბრის 1 საათისათვის მიღებული ცნობებით, ვენაში დათვლილი ხმების საერთო რიცხვიდან მემარცხენე ბლოკზე მოდის 10 პროცენტი, ავსტრიის სოციალისტურ პარტიაზე — 57.4 პროცენტი, ავსტრიის „სახალხო პარტიაზე“ — 27,5 პროცენტი და დამოუკიდებელთა კავშირზე — 4,4 პროცენტი. დანარჩენ ხმები მიიღეს ავსტრიის დემოკრატიულმა კავშირმა და დემოკრატიულმა პარტიამ.

ხმების დათვლა გრძელდება.

დაიცავით სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება!

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით—პოლისით სსრკ **სახდაზღვევა** უხდის სადაზღვევო თანხას **თვითონ დაზღვეულს**—დაზღვევის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას,—უბედური შემთხვევებისაგან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში **და მის ოჯახს** დაზღვეულის სიკვდილის შემთხვევაში. დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და ცნობებისათვის მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციებს ან აგენტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო ტრესტი „საქმოსარგებლობა“ აცხადებს, რომ მასალები და ფასეულობის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით საბაზისო საწყობიდან ყოველგვარი მასალისა და საქონლის გაცემა შეწყვეტილ იქნება ა. წ. 20 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს მიღებას კონსერვატორიასთან არსებულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის მუსიკალურ სკოლის მოსამზადებელ ჯგუფში.

მიღება ეწარმოებს: **ვიოლინოს, ჩელოს, ბიმღერის, კომპოზიციის და სასულე ინსტრუმენტების კლასებში.** განცხადების მიღება — კონსერვატორიის კანცელარიაში, გრიბოედოვის ქუჩა № 8, ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

თეატრებში

რუსთაველის სახელობის (კონსერვატორიის დიდ დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 8)

11-X **„ღელეჭი“**

13-X **„მარადმწვანე ქედები“**

მარჯანიშვილის სახელობის

11-X **„ხარაგაულის კერა“**

12-X **„მოძღვარი“**

მოქალაქე **თევდორე მიხეილის-ძე მარჩენკომ,** მცხოვრებმა ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის 60-ბინიან სახლში, აღძრა სარჩელი როსტოვის ოლქში, დუბოვსკი, ვასტანის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ მარტინის ასულ მარჩენკოსთან** განქორწინების შესახებ. სარჩელს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები ქეთევან და თედორე, ძმები მაშია, ზურაბ, და თინა, ბიძა ვლადიმერ ოყაბით იუწყებიან **რევაზ თევდორეს-ძე თენიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-X ვაკეკავარში (მახარაძის რაიონი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიარეთა დაცვის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ პ. თუმანიშვილს მისი სიდედრის **„ბაბალე ბერუაშვილის** გარდაცვალების გამო.

მშობლები ეტყობიან, ნესტორ, შვილები ლეილა, ლალი, ძმა პლატონ ცოლშვილით, დები დომნა, ნინო, ძიძე ირაკლი კალანდარიშვილი იუწყებიან ანჯინერ **თამარ ნესტორის ასულ ფანცულაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-X, 7 ½ გამოსვენება 13-X, 5 ს. პასტერის, 5.

მეუღლე პარმენ, შვილები ფორფოშა, ლოლა და გიორგი, და პიერა, ძმები ნესტორ, აკაკი ოჯახებით იუწყებიან **ფედოსია თევდორეს ასულ კილასონია-ჩაგანავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-X ცხაკაიაში.

ევ. თავაძე, ა. ბაქრაძე, ი. კახაძე, მ. ლომიძე, თ. ნადარაია, ს. გალუსტოვი, შ. შენგელია, ნ. ჩერიშვილი, თ. სულავა, კ. ცაგარეიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ თ. თენიშვილს მისი შვილის **რეზო თევდორეს-ძე თენიშვილის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 13-X გაკოკავარში (მახარაძის რაიონი).

მეუღლე ბაბილინა, შვილები თამარ, ლიზა, შურა, ეთერ, ოთარ, სიძე ნიკოლოზ ჯიბლაძე, შვილიშვილები თამაზ და რამაზ, ცოლიდა პატულა ხარებავა იუწყებიან **ეტატე ოტას-ძე ჯანჯღავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-X ქუთაისში, ბუდიონის, 7.

მეუღლე ვალენტინა, შვილი ოლეგა, სიძე გ. ქობულია, შვილიშვილები იზოლდა და ბონდო, ფედოსი ქობულია იუწყებიან